გაზეთი ბევრისა, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№29 (1055) 16 - 17 მარტი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი



გვ.3

ექსკლუზიური ინტერვიუ „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანთან

## „თუ მიშა ასეთი კურდღელი იყო, მაშინ დაუწვებოდა პუტინს, როგორც ახლა უწვებიან!“



გვ.4-5

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

„ვერ გეტყვით, რომ სააკაშვილის მიმართ პირადი სიყვარული გამაჩნია!“ — რატომ დაარქვეს სევდია და როდის გახდება „ქოცი“ თბილისის ყოფილი ვიცე-მერი



გვ.9

ქართველი ბავშვებისთვის ცირკი მავნეა ანუ ქამრების შემოჭერა მოზარდების ხარჯზე

ცნობილი ბიზნესმენის სახლიდან პატრიარქის ნაქონი ვერცხლის ჯვარი მოიპარეს



გვ.8

თაღლითი მაიას კრიმინალური ვნებანი

პატიმრის დღიური

ჟანა ნემცოვა მამის მკვლელობაში დამნაშავედ პუტინს მიიჩნევს გვ.7

ინფექციური დაავადებები, რომლებსაც ფიტნესკლუბებში „აიკიდებთ“



გვ.7

ამერიკელი მეცნიერების სკადალური დასკვნა

## „ივანიშვილი გაკოტრდა!“



გვ.6

თემურ შაშიაშვილი ნინო ბურჯანაძეზე გულნატკენია

# 1-რთხელ საქართველოში

დიტო გელოვანი

**იყო და არა იყო რა, იყო ერთი რწყილი და მელია. დაძმობილდნენ და მიდიან. წინ წყალი შემოხვდათ. მელიამ ხორბლის ტომარა ზურგზე შემოიგდო, გადაფრინდა და ფონს გავიდა. მიდის და ერთ ოჯახში დაუღამდა. დაუღამდა და დაუძახა: „ოჯახიანო, სტუმარი არ გინდათო?“ „როგორ არა, მელია, მობრძანდი, მობრძანდი, სტუმარი ღვთისა არისო“. შეიყვანეს მელია, მიართვეს საჭმელი და დააძინეს. ყველამ რომ დაიძინა, მელია ჩუმად გამოვიდა გარეთ, საქათმეში პური შეიტანა და ქათმებს გაუშალა, თვითონ ისევ შეიპარა სახლში და დაიძინა. ადგნენ მეორე დილით, მოიკითხეს პური, ნახეს, ქათმებს უყრია. მელიამ კი ერთი მამალი დაიჩემა: „თუ ამას მომცემთ, მომცემთ, თუ არადა აქედან აგყრითო“...**

*(„მელია“ — ქართული ხალხური ზღაპარი)*



მოკლედ, მელია სახლში არ უნდა შეუშვა, თან თუ ზურგზე რწყილი აზის და წყალზე ფრენა შეუძლია. საერთოდ, მელია არსად შესაშვები არ არის, მაგრამ ყველაფერი ხდება და თუ მაინც მოახერხა მელიამ და საქათმეში მოხვდა, მერე კარი უნდა დაუკეტო და საქათმიდან აღარ უნდა გამოუშვა.

შეტყობინების შეტანის მიზნით გასულ კვირაში მელიამ მერიაში შეაღწია. ჩემი მეგობარი სააგენტო დუმილს ამჯობინებს, ეჯდა თუ არა მელიას ზურგზე რწყილი, რაც შეეხება დანარჩენს, ანუ მიზნებს და ამოცანებს, უფლებებს და მოვალეობებს, მთისას და ბარისას, აქეთურს და იქითურს, ამის შესახებ, ყველაფერი მითხრა და აგერ, მე თქვენ გეუბნებით:

ნაციონალური მოძრაობის წევრმა ნიკა მელიამ, 21 მარტის აქციასთან დაკავშირებით, თბილისის მერიაში შეტყობინება შეიტანა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ნაციონალური მოძრაობიდან აცნობეს. „ხელისუფლების უპასუხისმგებლობა, უუნარობა და უამრავი სხვა მანკირება ამ ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონის მიზეზია. ძალიან სიმბოლურია, როცა კანონის თანახმად, აი, ამ სამაგალითოდ უუნარო და კორუმპირებული თანამდებობის პირებს ეცნობათ აქციის ჩატარების დრო და ადგილი, რადგანაც ხელისუფლებას დღემდე ვერ გაუგია, რატომ არის საზოგადოება უკმაყოფილო და აღშფოთებული“, — განაცხადა მელიამ“.

ოოო, მელანო, კიდევ ეწევი პაპიროსსა კი არა... ოოო, მელია, კიდევ მიირთმევ დიდი კოვზით?

აწი, ველარ გადაეჩვევიან, ვერც ეგენი და ვერც მათი თანამესუფრე სააგენტოები. აბა, სად ჩემი მეგობარი სააგენტო და სად მათი თანამესუფრე! აი, ზუსტად ახლა, ამ წუთებში, მათმა თანამესუფრე „პირველმა რადიომ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნების“ წევრებმა ზუგდიდში ნაციონალური მოძრაობის ოფისი დაარბიეს. ჯერ ერთი, ქართველი კაცი ყოველთვის ებრძოდა მტერს და დუშმანს და ამდენად, არც ნაცმოძრაობის ოფისის დარბევა უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ მთავარი აქ არის მეორე, ხოლო ეს მეორე არის სათაური, რომელიც ნაც-კვერცხუჯრედებს ნიუსისთვის დაურქმევიათ — „6-ი დაშავებული. „ქართული ოცნების“ წევრებმა ზუგდიდში ნაციონალური მოძრაობის ოფისი დაარბიეს“.

არა, ძმაო, ესენი მართლა კვერცხუჯრედები არიან და უკვე შემიძლია 21 მარტის სათაურები ვიწინასწარმეტყველო: „21-თ მარტს დიდი საპროტესტო მსვლელობა გაიმართება“, „3-ი საათისთვის ვარდების მოედანზე 35-ი 1000-ი ადამიანია შეკრებილი“, „პარლამენტის შენობისკენ 150-ი 1000-ი ადამიანი დაიძრა“, „სიტყვით უკვე 7-ი ლიდერი გამოვიდა და თითომ 15-ი წუთი ილაპარაკა“, „ნაციონალური მოძრაობა 2016-ი წლის არჩევნებში გამარჯვებას გეგმავს“...

ოეეეე, თქვე კეთილმოტყუებულებო, აბა, თქვით 6-ი... აბა, თქვით 7-ი... აბა, თქვით 8-ა.

ყვავი დაგა 9-ათ!

16-ი საათი და 20-ი წუთია და ყველაფერი გენიალურადაა. 17-ტ საათსა და 30-თ წუთზე დაბადების დღეზე უნდა ვიყო აქვე, დიღმის მასივში. ოტია იოსელიანის შვილთაშვილი 12-ი წლის ხდება და რა თქმა უნდა ხვდებით, რომ სუფრასთან აუცილებლად მიმოვიხილავთ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და ისე როგორ იქნება, რომ 1-ი-2-ი ნაცი და ამდენივე ქოცი შესაბამისი ზმნებით არ მოვიკითხოთ.

ორი ზმნა ერთ წინადადებაში — „არმაზ ახვლედიანისგან ბოდიშის მოხდას ზაქარია ქუცნაშვილიც ითხოვს“. ორი ზმნა და „ც“-სგან გამოწვეული ინტრიგა. კიდევ ვინ ითხოვს არმაზ ახვლედიანისგან ბოდიშის მოხდას? ეჰ, ვინ აღარ, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დიმიტრი ხუნდაძესთან და ზვიად კვაჭანტირაძესთან.

„საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ზაქარია ქუცნაშვილი ნინო გვენეტაძის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში სპეციალური განცხადების გაკეთებას გეგმავს. მის მიერ დაანონსებული განცხადების დეტალების დაკონკრეტებისგან ქუცნაშვილი თავს იკავებს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ სრულად იზიარებს და უჭერს მხარს დიმიტრი ხუნდაძის მოთხოვნას, არმაზ ახვლედიანის მიერ ბოდიშის მოხდასთან დაკავშირებით. ქუცნაშვილის შეფასებით, ის რაც ახვლედიანის განცხადება, დეპუტატისადმი შეურაცხყოფაა. დეპუტატმა დიმიტრი ხუნდაძემ დღეს განცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკურ მდივან არმაზ ახვლედიანისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს“, — ეს მხოლოდ ნაწყვეტია, დანარჩენი კი სრულად ასახავს კონფლიქტის ანატომიას.

ამ კონფლიქტის შესახებ არ ვილაპარაკებ, ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ კონფლიქტის მოგვარების საშუალება მხოლოდ ერთია — ვიღაცამ (გასაგებია, ვინც) ზაქროს ყურში უნდა ჩააწვეთოს, რომ მომავალ საპარლამენტო სიაში ადგილი გარანტირებული აქვს. მერე ზაქრო გადააწვეთებს ზვიადს და დიმიტრის. ამის შემდეგ ნანა ყეენიშვილი მოინდომებს ჯანდაცვის მინისტრობას, ხოლო გოგი ქავთარაძეს კულტურის მინისტრობაზე გაუჩნდება პრეტენზია. მათაც უნდა ჩააწვეთონ თითო იმედისმომცემი რამ და ა.შ. ყველანი დაწყნარდებიან. ისიც ხომ გახსოვთ, როგორც იყო — მთელი 10-ი წელი არმაზ ახვლედიანი იყო წყნარად, შემდეგ ჩატარდა 1-ი ოქტომბრის არჩევნები, 3-მიოდე თვე კიდევ მოიცადა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — ტელევიზიიდან ტელევიზიაში, რედაქციიდან რედაქციაში... იმდენი ირბინა, სანამ მმართველი პარტიის პოლიტიკურ თუ რაღაცნაირ მდივნად არ დანიშნეს.

პოლიტიკა ბინძური რამ არისო... ნაგავსაყრელის ტერიტორიაც ბინძურია, მაგრამ ერთი გენახათ, როგორი წკრიალა და ხასხასა იყო, სანამ იქ ნაგვის დაყრას დაიწყებდნენ. ვინ იცის, ექვემდებარება თუ არა გადამუშავებას ის ნაგავი, რაც ქართულ პოლიტიკაში დაიყარა, რითაც გაივსო პარლამენტი და საკრებულო... ნაგავში გადაგდებული მარგალიტის სადღეგრძელო დაგვილევია 25-ი-30-ი წლის წინ და ვინ იცის, რამდენს შეუსვამს ასლანისტ-შევარდნაძისტებით გამოტენილი თბილისის საკრებულოს ერთი წევრის — მიხეილ სააკაშვილის — სადღეგრძელო... მაგრამ სანამ ნაგავი ბოლომდე არ გაიხრწნება, სუნი თითოოროლას თუ აწუხებს ხოლმე.

„დედაქალაქის მერს, დავით ნარმანიას მიმდინარე კვირის განმავლობაში სავარაუდოდ, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დავიბარებთ, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა განუცხადა. „არის შეკითხვები, რა ხდება დედაქალაქში, რა გაკეთდა ან ვერ გაკეთდა, რა ხდება მერიაში, სადაც ძალიან ბევრი საკადრო გადაადგილებაა. ამ კითხვებზე განმარტებები ვერ მივიღეთ. გვაინტერესებს კორუფციის ფაქტები, რამდენად აკონტროლებს სიტუაციას მერიაში დავით ნარმანია, რამდენად აქვს მას მტკიცედ ხელთ მართვის სადავეები და ხომ არ გაექცა ეს მართვის სადავეები. ეს შეკითხვები გვაქვს“, — რაც დრო გავა, შეკითხვაც მეტი იქნება, მთავარი კი არის პასუხი“.

„რამდენად აკონტროლებს სიტუაციას მერიაში დავით ნარმანია“, — ეს მართლაც საინტერესოა, მაგრამ არც ის არის უინტერესო, რამდენად აკონტროლებდა სოროსის ფონდს თავად ალეკო ელისაშვილი? ოოო, ამ თემაზე რაღაც-რაღაცები ნამდვილად მაქვს მოსაყოლი და დანარჩენ კითხვებს მაშინ დავსვამ, როცა მოვყვები. ჯერ რომ ნაგავი ბოლომდე არ გაიხრწნება.

ბუნებრივი იქნებოდა, სიბინძურეზე, ნაგავსა და ხრწნაზე აჭარის უზენაეს საბჭოში განვითარებული მოვლენები გამეხსენებინა, სადაც კვერცხებმა კვერცხებს კვერცხები დაუშინეს, მაგრამ სჯობს, მხოლოდ სათაურებით და ნიუსნაგლეჯებით დავკმაყოფილდე.

„აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მედეა ვასაძისა და ჯემალ ფუტკარაძის ინფორმაციით, დეპუტატ სვეტლანა კუდბაზე ზეწოლა ხორციელდება. მათი განცხადებით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატ სვეტლანა კუდბას სახლში იმყოფებოდა და მასზე აწარმოებდა ზეწოლას, რათა იგი უმაღლესი საბჭოს ხვალინდელ სესიაზე მივიდეს“, — ჯერ იყო ეს, შემდეგ კი გაირკვა, რომ „აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის „საიდუმლო ვიზიტი“ სვეტლანა კუდბასთან 5 საათი გაგრძელდა. როგორც ჟურნალისტებს ბერიძემ განუცხადა, მან დეპუტატი მოინახულა, რადგან ჰიპერტონიული პრობლემა აქვს და მის ჩაძინებას დაელოდა. ავთანდილ ბერიძე კუდბაზე რაიმე სახის ზეწოლას გამორიცხავს“.

საკითხავი ის არის, როგორ ელოდა ბერიძე კუდბას ჩაძინებას — ქოლგით, უქოლგოდ თუ კისერზე წურბელებით?

შემდეგ მოდის შინაარსით ბინძურზე ბინძური სათაური — „ნაციონალურმა მოძრაობამ მედეა ვასაძის კანდიდატურა დააყენა“, რის შემდეგაც ვიგებთ, რომ „აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მედეა ვასაძე რიგგარეშე სხდომაზე მეორე კენჭისყრის შედეგადაც ვერ აირჩიეს. მეორე კენჭისყრაზე დეპუტატ მედეა ვასაძის კანდიდატურა განიხილებოდა. 13 რეგისტრირებული დეპუტატიდან მას მხოლოდ სამმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი 5 იყო, 2 ბიულეტენი ბათილად სცნეს, ხოლო სამს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. რეგლამენტის თანახმად, მესამე კენჭისყრაზე ორივე კანდიდატურას, ჯემალ ფუტკარაძესა და მედეა ვასაძეს ერთად ეყრება კენჭი“.

თუ გავიხსენებთ, რომ მანამდე იყო ლოდინი და ჩაძინება, რომ იყო ზეწოლა და რომ ყველაფერი კვერცხებით დასრულდა, განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენება ბოლო ნიუსში ამოკითხული ეს სიტყვები: „ჯემალ ფუტკარაძეს და მედეა ვასაძეს ერთად ეყრება კენჭი“.

რას არ წაიკითხავ, რას არ გაიგებ კაცი... მართლაც 1-თ რამედ ღირს ქართული პოლიტიკური ბატალიებისთვის თვალის მიდევნება.

აი, თუნდაც, ის ამბავი, პარლამენტში კვირიკაშვილს და ხადურს რომ მოუსმინეს. ჩემმა ღრმადგანსწავლულმა და განათლებულმა მეგობარმა სააგენტომ ასეთი სათაური მიუძღვნა: „ეკონომიკური ბლოკის მინისტრების მოსმენის საკითხმა ორ საპარლამენტო კომიტეტს შორის ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია“. აღარ გადავამოწმებ, ისედაც ცხადია, რომ „პირველი რადიოს“ სათაური ასეთი იქნებოდა: „...2-რ საპარლამენტო კომიტეტს შ-2-ის 1-თგვარი გაუგებრობა გამოიწვია“.

კვერცხების არა, მაგრამ სასაცილო სიტყვა-ფრაზები აქაც ისროლეს: „ნადირაშვილს უმრავლესობის წევრმა ომარ ნიშნიანიძემ გაჩუმებისკენ მოუწოდა და მას რეპლიკით — „ბებია გიჟყავით“ მიმართა. ნიშნიანიძეს კორექტულობისკენ პავლე კუბლაშვილმა მოუწოდა, ხათუნა გოგორიშვილმა კი დამაწყნარებლის დალევა ურჩია“.

„ბებია გიჟყავით...“ — დიდი ხანია აღარავის უთქვამს, არ გამიგია და, მართლაც, რას არ გაიგებ ისევე, როგორც ამას — „ინტერპარტიული“. თუმცა, ამ ბოლო დროს ეს სიტყვა ხშირად გაისმის და არც გასული კვირა იყო გამონაკლისი:

„დღეს კამპანია „შეცვალე უსამართლო საარჩევნო სისტემა“ დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კამპანიის მონაწილეებმა აცნობეს, დღეს სასტუმრო „რედისონში“ მემორანდუმს მოეწერა ხელი. მას ხელს აწერენ ქვეყანაში მოქმედი ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაციები, არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიებისგან შემდგარი **ინტერპარტიული ჯგუფი** და დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი“.

ამ ბოლო 2-რ-3-მ კვირას თუ არ ჩავთვლით, ეს სიტყვა ბოლოს ზუსტად 16-ი წლის წინ გავიგე და ახლა უნდა გავიხსენო.

9-ა აპრილის 10-თ წლისთავთან დაკავშირებით სტატია მქონდა დასაწერი. შემოვიარე ეროვნული მოძრაობის ლიდერები — ნათაძე, ბათიაშვილი და სხვები და ირაკლი წერეთელს პარტიის ოფისში მივადექი. ორნი ბურას თამაშობდნენ, ორიც უცქერდა. იქით არის, იმ ოთახშიო — მიმასწავლეს. ვაჟა ადამიამ შემასწრო. საკმაო დრო გავიდა, წერეთლის ოთახიდან სულ ასეთი რამეები ისმოდა (ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ლაპარაკობდნენ): „მანჩესტერის დედაც... გაუმარჯოს ბარსელონას... ვინა, ზიდანი? ზიდანი სად იყო... აი, მარადონა... ბექჰემის მასხარა...“ წერეთლის თანაშემწეს (კროსვორდს ავსებდა. კომში, ანუ? სამი ასო) ვუთხარი, შევალ-მეთქი. არაო — მითხრა — **ინტერპარტიული შეხვედრა** მიმდინარეობსო.

1-თი იმ მემორანდუმში ჩამახედა, რედისონში რომ მოეწერა ხელი!

ესაა ცხოვრება? მოგწონთ ასეთი ცხოვრება? აი, თოფაძეს არ მოსწონს, რომ საქართველოს გეზი არის ნატო, მაგრამ ჩვენც ხომ არ მოგვწონს თოფაძის ლუდი, რომელზეც, როგორც ამბობენ, ერთ ჩეხ სტუმარს, მას შემდეგ, რაც „ყაზბეგი“ დალია, უთქვამს, მე მგონი, ეს ლუდი ერთხელ უკვე დალია ვიღაცამო.

ერთხელ წაკითხულს კიდევ წაგაკითხებთ: „პროკურატურამ 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და ტელეიმედში შეჭრის საქმეზე ბრალდებულ ყოფილ მაღალჩინოსნებს ახალი ბრალი წაუყენა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს ბრალდება დაუზუსტდათ, დავით კეზერაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და გიორგი უგულავას კი — დაუმძიმდათ“.

აი, თქვენ კი დაგიზუსტდათ და დაგიმძიმდათ არმაგედონის ზანგის — ესაა ჩემი კომენტარი.

„პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა გაათავისუფლეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიიდან აცნობეს, ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ლიდერ ლადო სადღობელაშვილთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ დაკავებული „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი ამ დროისთვის გათავისუფლებულია“, — იუწყებოდა ჩვენი ძმა, სააგენტო.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი გაათავისუფლეს და ეს ლოგიკურია, დაერქმია თავისი პარტიისთვის „ფულიანი საქართველო“ და ჩაუკუჭავდნენ ჯიბეში ფულს — ა შენ, კუკა, თუმანი და მეტი აღარ გაიხადოო, მაგრამ დღევანდელი თუმანი თუმანია? დღევანდელი ქალი ქალია? დღევანდელი ღრუბელი ღრუბელია?

გახსოვთ, რა ლამაზი ღრუბლები იყო ჩვენ ბავშვობაში? რა კარგი იყო ბავშვობა, როგორ გვასწავლიდნენ, მადლი ქენი, ქვაზე დადე და ნუ დაუწყებ ლოდინს, რომ წინ დაგხვდებაო. მადლი იმის მადლია, რომ ჩუმად უნდა აკეთოო...

„საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია XVIII საუკუნის უნიკალურ ხელნაწერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შესწირავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, ეკა ბესელია ცენტრს XVIII საუკუნის ხელნაწერს საჩუქრად ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში დღეს გადასცემს. მათივე ინფორმაციით, ხელნაწერი შემომწირველმა, ეკა ბესელიამ კერძო პირისგან შეიძინა. 14 მარტიდან კი, აღნიშნული წიგნი ცენტრის საცავებში სხვა უნიკალურ კოლექციასთან ერთად დაიდებს ბინას“ — ეს ანონსი სიკეთის ჩუმად კეთებაზე გამახსენდა.

მოკლედ, წავედი. მომავალ ორშაბათამდე. 21-ი მარტი მნიშვნელოვანი დღეა. აუცილებლად წავალ... კოტე მახარაშვილის დაბადების დღეზე და შევეცდები, თვალში არ მომხვდნენ ისინი, რომელთათვისაც ზოგს ბებიის ჭყავილი ემეტება, ზოგს კი დედის წიოკი და მამის მშიერი მძვინვარება.

**მ. ე. ნ. (მელიას ერქვა ნიკანორი)** ...მელიამ აიკიდა გუდა და მიდის, მიდის და მიიმღერის: „პური გავცვალე მამალზე, მამალი — ცხვარზე, ცხვარი — ხარზე, ხარი — პატარძალზე, ბანი, პატარძალო, ი-ი-ი-ი-!“ უცებ ძაღლი დაიღრენს. „ეს რაღაც ცუდ ხმაზე იძახის ბანს, თუ არ ვნახე, არ იქნებაო. მელიამ გუდას პირი მოხსნა. მოხსნა და ამოვარდა ძაღლი. ეცა ამ შენს მელიასა და გაგლიჯა და გამოგლიჯა. პატარძლი თავის სახლში მივიდა, ძაღლი კი პატრონს ჩაბარდა.

*(„მელია“ — ქართული ხალხური ზღაპარი)*

გიორგი იაშვილი

# კახა კალაძე: „21 მარტის აქციაში საგანგაშოს ან სენსაციურს ვერაფერს ვხედავ!“



**21 მარტის აქციის წინ, გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს „ქართული ოცნების“ გენერალურ მდივანთან, ვიცე-პრემიერთან, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძესთან.**

— **საქართველოში საკმაოდ მაღალი პოლიტიკური ტემპერატურაა. მოდით, ამ მიმართულებით ვისაუბროთ: ნაციონალური მოძრაობა დიდ მზადებაშია...**

— მგონი, ცოტა ვუტრირებთ... ყველა ქვეყანაში რომელიმე პოლიტიკური პარტია გამოდის ქუჩის აქციაზე თავისი მხარდამჭერებით და შემდეგ უკვე მოსახლეობის განსასჯელია, ეს პოლიტიკოსები ამას პოლიტიკური ქულების დასაწერად აწყობენ თუ ქვეყნისთვის, ხალხისთვის რაიმე საჭირბოროტო საკითხი აღელვებთ და ქუჩაში შეკრებით, მოსახლეობის საკეთილდღეოდ კონკრეტულ შედეგს მიაღწევენ თუ არა. შესაბამისად, ამ აქციაში საგანგაშოს ან სენსაციურს ვერაფერს ვხედავ.

— **ბევრი მიიჩნევს, რომ ეს აქცია ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებისკენ ბიძგია...**

— დავაზუსტებდი: ზოგისთვის შიშს დიდი თვალები აქვს. არადა, პირიქით, მათი ხშირი ლანძღვითა და მოლოდინით თავად უწყობენ ხელს აქციის გაპიარებას და უტრირებულად წარმოაჩენენ ამ მოვლენის მნიშვნელობას. დავწყნარდეთ, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ჩვენი შეცდომების გამოსწორებაზე ვიმუშაოთ. ყოველი ჩვენგანის ოცნება იყო, საქართველოში დასრულებულიყო ქუჩის აქციების დრო და პოლიტიკური ისტერიები, შესაბამისად, ჩვენვე ნუ მოვახდენთ ხელოვნურად ამის პროვოცირებას. გულწრფელად მჯერა, 2012 წელს ქვეყნისთვის თვისობრივად ახალი პოლიტიკური კულტურისა და ქცევის ეტაპი დაიწყო და აქციის გამართვა არც პოლიტიკური გლობალური ცვლილებების მომტანია და, შესაბამისად, არც „ბარიკადებზე გმირის დაბადების“ წინაპირობა.

საერთოდ, პოლიტიკური ლიდერებზე გემოვნებაც, მგონი, თანდათანობით იცვლება და „საერთაშორისო სტანდარტებთან“ მიახლოებული გვიხდება.

— **როგორ გგონიათ, რა არის საჭირო ლიდერობისთვის? ან როგორია ხალხისთვის ავტორიტეტული პიროვნება, რომელიც მერე პოლიტიკაში მოვა?**

— მოდით, არ დავკონკრეტდეთ წარსულისა და ისტორიის მაგალითებზე... ზოგადად, ავტორიტეტი წარმართავს საზოგადოებრივ აზრს, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დინამიკას. მას უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრია და ეს თითოეული სიტყვის თქმის დროს უნდა ახსოვდეს. რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, პოლიტიკური ლიდერების „მოსვლის“, დაახლოებით, ერთი და იგივე სქემა გვაქვს... პოლიტიკური ლიდერები ქუჩის აქციების წიაღში არ უნდა იბადებოდნენ. ეს დრო გავიდა. ეს ჩვენი საზოგადოების, ჩვენი პოლიტგემოვნების ფორმირების ფაზა იყო და მიმაჩნია, რომ წარსულს ჩაბარდა. ჩვენ თანამედროვე საქართველოს არსებობის განავლობაში ბევრი პოლიტიკური ავტორიტეტი შევქმენით ქართველებისთვის ჩვეული მაქსიმალიზმითა და ემოციებით...

პოლიტიკური ლიდერი უნდა იყოს რამდენიმე, თავისი მხარდამჭერებითა და მომხრე ელექტორატით, ეს სხვადასხვა იდეოლოგიებს შორის ჯანსაღი ჭიდილი იქნება და ყველაფერი ეს ნელ-ნელა მოდის პოლიტიკური კერპისა და მისი მადიდებელი ხალხის საპირწონედ.

— **ხომ შეიძლება, ადამიანი ავტორიტეტი იყოს და პოლიტიკით არ დაკავდეს? მგონი, ეს იყო ივანიშვილის სურვილი, როცა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განაცხადა...**

— იდეალურია, დამეთანხმებით, პოლიტიკური და სამოქალაქო, საზოგადოებრივი ლიდერის გამიჯვნა. ვფიქრობ, ზუსტად ეს იყო ივანიშვილის გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზიც. როცა პოლიტიკური ლიდერები საზოგადოებაში გავლენის მქონე, ავტორიტეტულ პიროვნებებს უსმენენ, მსჯელობენ ან კამათობენ, ამის საფუძველზე საერთო განვითარების პროდუქტი იქმნება, რაც წაადგება მთლიანობაში საქართველოს განვითარებას. ეს პროცესი თუ გაღრმავდა და შევისისხლხორცეთ, თუ პოლიტიკურ ტრადიციად ჩამოგვიყალიბდა, არც ქუჩის აქციებით პოლიტიკის კეთება იქნება საქართველოში და არც — კერპთაყვანისმცემლობა, თუმცა იდეალური მაგალითი გავიხსენოთ ვაცლავ ჰაველი — საზოგადოების აქტიური ავტორიტეტი პოლიტიკური ლიდერი გახდა.

— **თვლით, რომ ერთი პოლიტიკური ლიდერის ბევრით ჩანაცვლება რეალურია?**

— პირველად, ამ ბოლო წლებში იმდენი რამ ხდება, რომ ეს პროცესიც დაწყებულია: პირველად მიტინგების, შევარდნების და ქუჩის რადიკალური აქციების გარეშე მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა და პირველად შეიცვალა არჩევნების საშუალებით ხელისუფლება (თან ავტოკრატიული რეჟიმის პირობებში, რაც, პირველ რიგში, ხალხის დამსახურებაა). პოლიტიკური ლიდერი პირველად გადავიდა სამოქალაქო სექტორში ანუ მის მიერ მოხდა ზუსტად ამ გამიჯვნის პრეზენტაცია: დამეთანხმებით, მისი ეს მცდელობა წარმატებით განხორციელდა.

როცა სამოქალაქო სექტორი გაძლიერდება, შესაბამისად, თავის წიაღში არა ერთ, არამედ რამდენიმე ავტორიტეტს, ლიდერს შექმნის. იგივე მოხდება პოლიტიკაშიც — არ იქნება ერთი კერპი, იქნება რამდენიმე საინტერესო და ავტორიტეტული პოლიტიკოსი, ვის ირგვლივაც მისი თანამოაზრეები მოიყრიან თავს.

დამეთანხმებით, ესაა ის იდეალური დემოკრატია, რომლისკენაც ჩვენ, ყველანი ვესწრაფვით და არ მგონია, ეს ოცნება იყოს. მგონი, უკვე ამის რეალობა შევქმენით. შეიძლება, ბევრი ამის მნიშვნელობას ვერ აცნობიერებს დღეს, მაგრამ შედეგს დაინახავს ხვალ.

— **ამჟამად მმართველი პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ხართ, რა ამოცანები აქვს პოლიტიკოს კახა კალაძეს?**

— ახლა მაქვს ეტაპი, კარგად გავაანალიზო ჩემი განვლილი პერიოდი პოლიტიკაში, პოლიტიკოსმა მუდმივ რეჟიმში უნდა იფიქროს, რისი გაკეთება შეუძლია ქვეყნისთვის, მოსახლეობისთვის. შეიძლება, ძალიან პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ სრულიად გულწრფელი ვარ: მინდა, ამიერიდან, როგორც პოლიტიკოსმა მოვუტანო, ჩემს იმედად მყოფ თუნდაც ერთ მოქალაქეს, გამარჯვებისა და სიხარულის განცდა. ამის სურვილი ჩემი შემადგენელი ნაწილია, ვაკეთო საქმე და დავდო შედეგი, რომელიც ბევრისთვის შეიძლება იყოს საჭირო ან საინტერესო და თუნდაც საკამათო.

— **ზოგადად, როგორ შეაფასებთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას? როგორ ვართ და როგორ ვიქნებით?**

— ვერ ვეგუები ქვეყნის ასეთ სტადიაზე ყოფნას, ქველმოქმედებით დაეხმარები ერთს, ვერ დაეხმარები მეორეს, ვისაც ქველმოქმედების საშუალება აქვს, ყველას ვერ გასწვდება. დამეთანხმებით, ვისაც აქვს ნანახი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში პატარა ქალაქები, სოფლები, კურორტები, ლამაზია, არსადაა სიდუხჭირისა და სიღარიბის კვალი. დედაქალაქიდან დაწყებული, ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია.

დიდი მიღწევაა, როცა ადამიანები არ შიმშილობენ და პურის რიგში არ დგანან. დიდი მიღწევაა, რომ სადღაც ასფალტი იგება, სადღაც ნაგვის ურნა დგას და ვიღაცა რაღაცას აშენებს ან თესავს. დინამიკა არის, მაგრამ ვიყოთ რეალისტები: ეს ზღვაში წვეთია ჩვენი საოცნებო გეგმებისა და სურვილის ფონზე, განვითარებული სახელმწიფოს სტანდარტის გვერდით. თანამედროვე მსოფლიოში ადამიანებს შუქი და პური დაამადლო და დამსახურებად მიიჩნიო, მინიმუმ, პოპულიზმია... არადა, ჯერ კიდევ გუშინ ასე იქცეოდნენ.

ჩემი ამოცანა კი, ყველა შეგნებული ადამიანის ამოცანისმაგვარია — გავაკეთო ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ყველაფერი, რაც ნორმალური ქვეყნის შექმნას შეუწყობს ხელს!

— **სავალუტო კრიზისის ფონზე, მიგაჩნიათ, რომ თქვენი ამოცანა და პარტიული ოცნება განხორციელებადია?**

— შენება და განვითარება ვისთვისაც მხოლოდ საარჩევნო პარტიული ლოზუნგი და ჰაერზე ნათქვამი სიტყვებია, იმ ხალხთან ერთად არასოდეს დავდგები. განვითარება უნდა იყოს ხელშესახები და თვალშისაცემი რეალობა. გასაგებია, რომ ჯადოსნური ჯოხი არავის გვაქვს, მაგრამ, როცა თითოეული მოქალაქე იქნება მონაწილე ამ პროცესისა, ყველაფერი ეს იქნება რეალური! სხვანაირად არ მესმის და არც მინდა, გავიგო.

— **ერთ-ერთი რეიტინგული პოლიტიკოსი ბრძანდებით, თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, ზოგადად, რა არის იყო პოლიტიკოსი საქართველოში?**

— მოდით, ჯერ გეტყვით, რა არ მომწონს, როცა პოლიტიკოსობა არის გაცვლითი მონეტა: ადამიანები, რომლებიც დადიან პარტიიდან პარტიაში, არ აქვთ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, არ აქვთ პოლიტიკური პრინციპები, უბრალოდ, პროფესიად გაიხადეს ან ოპოზიციაში ყოფნა, ან საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოხვედრა.

ძალიან ცოტაა ისეთი პოლიტიკოსი საქართველოში, რომელმაც, თავისი ათეულწლიანი პოლიტიკაში ყოფნით ამომრჩეველს, ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებას რამე დაატყო. ეს აფერხებს საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, რაც თავისთავად, არ და ვერ უწყობს ხელს ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებას. რა საჭიროა ამდენი 5-კაციანი პარტია, როგორ შეიძლება, ადამიანი გუშინ მემარცხენე იყო და ხვალ მემარჯვენე გახდეს? დღეს ხელისუფლების მომხრე, ხვალ კი იგივე ხელისუფლების მოწინააღმდეგე და რასაც გუშინ ტაშს უკრავდა, დღეს ტალახს ესროდეს, ან პირიქით? პოლიტიკოსობა სხვა საფეხურზე უნდა ავწიოთ, რომელიღაც ინტერვიუში ვთქვი, მთავარია, მარგინალური ნაწილი ჩამოშორდეს პოლიტიკურ სპექტრს, ახალი სახეები, ახალი გამოწვევები გვჭირდება ქართულ პოლიტიკაში. პოლიტიკაში გვინდა მეტი პროფესიონალიზმი და ნაკლები — აგრესია.

რატომღაც სტერეოტიპად იქცა, რომ ქარიზმა აგრესიის სინონიმია. რაც უფრო აგრესიულია თავის საჯარო გამოსვლებში ადამიანი, ითვლება, რომ ოპონენტს აჯობა. საინფორმაციო ბაზარზე იყიდება დებატებისას ურთიერთობის ფორმა და არა შინაარსი. მესმის, ესეც „ბაზრის“ მოთხოვნა იყო, მაგრამ, როცა ვსაუბრობთ თვისობრივად ახალ საქართველოზე, პოლიტიკური ქცევის, პოლიტიკური დებატის კულტურაც უნდა განახლდეს.

ამჯერად, გვაქვს შანსი, პოლიტიკოსების ახალი თაობა შევქმნათ და ეს იქნება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დიდი ნაბიჯი. გარემო პირობები, ქვეყანაში შექმნილი ვითარება ყველა პირობას ქმნის, პოლიტსპექტრში სერიოზული ცვლილებები მოხდეს და ძალიან მიხარია, რომ ამ პროცესების მონაწილე ვარ.

ხალხში არ უნდა გავაღვივოთ მოტყუებულის, დაჩაგრულის კომპლექსები. პირიქით, უნდა გავაღვივოთ ღირსების განცდა. რაც ერი, ის ბერიო — ქართული გამოთქმაა. თავისუფალი და რაციონალურად მოაზროვნე საზოგადოების წიაღიდან შესაფერისი ლიდერები წამოვლენ. ეს გარდაუვალია.

— **რამდენად მნიშვნელოვანია ამომრჩევლისთვის პარტიის პროგრამა? რა კრიტერიუმებით ირჩევს პოლიტიკოსებს საზოგადოება?**

— მოდით, პასუხში არ გავითვალისწინებ ბოლო, 2012 წლის არჩევნებს, ვინაიდან ცოტა სხვა რეალობა იყო — სტანდარტისგან განსხვავებული, იყო ძალადობრივი რეჟიმი, დაპირება იყო ამ რეჟიმის მოცილება და ხალხმა არჩევანი ამ ერთადერთი კრიტერიუმით გააკეთა. დარწმუნებული ვარ და მოსახლეობასთან შეხვედრებისას ბევრსაც უთქვამს, რომ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირება სააკაშვილის რეჟიმის მოცილება იყო. ღმერთმა დაგვიფაროს მოსახლეობაც და პოლიტიკოსებიც მომავალში მსგავსი პოლიტიკური ფორსმაჟორისგან!

როცა პოლიტიკაში მოვედი, ბევრი სხვადასხვა თემით დავინტერესდი, რა პოლიტიკურ ფიგურებთან, პოლიტიკურ სუბიექტებთან მექნებოდა საერთო. რა ხდებოდა ქვეყნის პოლიტიკაში უკანასკნელი 2 ათეული წლის მანძილზე. თქვენც რომ გადახედოთ, დღიდან დამოუკიდებელი საქართველოსი, რა დაპირებები იყო პარტიების მიერ ძირითადად გაცემული და რა შესრულებული, დაწყებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებიდან — ლორე, საინგილო, სოჭი და ისტორიული ტაო — დასრულებული მილიონი სამუშაო ადგილით. უბრალოდ, სლოგანები, ლამაზი, კარგად შეფუთული დაპირებები, არავითარი არგუმენტი, არავითარი ლოგიკური დასაბუთება და მატერიალური ბაზის მითითება მათი შესრულებისთვის. არც ერთი დაპირება არ დგას ახლოს რეალობასთან და მგონი, არც ხალხი აცნობიერებს არჩევნების პერიოდში, ვინ რამდენად რეალურ დაპირებას გასცემს. ჩვენთან პოლიტიკური დაპირებები არის პოლიტიკოსის ან პოლიტიკური პარტიის პიარის ნაწილი — გამცემიც და მიმღებიც ამაზე თავისთავად შეთანხმდა.

ქართული პოლიტიკა მსოფლიოში მიღებულ თანამედროვე სტანდარტებს უნდა დაუბრუნდეს და ამ ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ ჩვენი პოლიტიკური გემოვნება, პრიორიტეტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გვეყოლება არც ერთი პროფესიონალი პოლიტიკოსი, არც ერთი სერიოზული სოლიდური პარტია და პოლიტიკური წინსვლის პერსპექტივას ამ პირობებში ვერ ვხედავ, თუ არ შეიცვალა არჩევნებიდან არჩევნებამდე მოსახლეობის მდგომარეობა, არ იქნა წინსვლა სოციალური, ეკონომიკური, არ იქნა რაღაც გაკეთებული, რის გაუმჯობესებასაც სამომავლოდ დავპირდებით ვინმეს, მაშინ რანაირად წავა წინ ქვეყნის ცხოვრება?

— **მისაღები იქნება დღევანდელი საქართველოსთვის ერთი გამოკვეთილ ლიდერზე უარის თქმა? იქნება ეს ბუნებრივი მოვლენა?**

— ერთი გამოკვეთილი ლიდერის მოთხოვნილება — ასეთი ვერტიკალი, მგონი, მიუღებელია. 20 წელია, ლიდერის სახელის სკანდირებით გამოიხატებოდა მხარდაჭერა თუ სიმპათია და სიყვარული. რატომ უნდა გიყვარდეს პოლიტიკური ლიდერი? რატომ არის ეს ვალდებულება? საიდან?

ეს არ არის დემოკრატიული საზოგადოების თვისება. ვიტყოდი, საბჭოური გადმონაშთია-თქო, მაგრამ ნაცისტურ გერმანიაშიც იგივე გემოვნება იყო. მორჩილების გამოხატვაა? — მორჩილება კი, მგონი, შიშიდან მოდის. ჩვენ ყველაფერში მაქსიმალისტები ვართ. ვერასოდეს ვიჭერთ ოქროს შუალედს. ამ მორჩილების, გაკერპების, საყოველთაო სიყვარულის ფონზე ყოველთვის ჩნდება ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამას ებრძვის, აპროტესტებს, ამარცხებს და სამწუხაროდ, მერე თავად სკანდირებს ახალი ლიდერის სახელს.

მითი გახსოვთ გორდეასის კვანძზე, რომელსაც ვერავინ ხსნიდა, წვალობდნენ და გაწბილებულები უკან ბრუნდებოდნენ. მივიდა მაკედონელი და ხმლის ერთი დაკვრით გადაჭრა კვანძი — მარტივად მოაგვარა პრობლემა.

ზუსტად ეს კვანძი ბოლო არჩევნებზე გადაკვეთა ხალხმა.

უნდა გავხდეთ ჩვეულებრივი, განვითარებული პოლიტიკური კულტურის ქვეყანა. ჩვეულებრივი ევროპული პოლიტიკური ცხოვრებით. საზოგადოებაში უნდა იყვნენ ადამიანები მემარცხენე გემოვნებით, მემარჯვენეები, კონსერვატორები, გნებავთ, მონარქისტები, ანარქისტები. მთავარია, ლიდერომანია, კერპის ძიება პოლიტიკაში დასრულდეს.

— **რა სჭირდება დღეს ყველაზე მეტად საზოგადოებას?**

— პასუხი ერთმნიშვნელოვანია: განათლება, მასობრივი განათლება. ნებისმიერი ჩვენი უბედურება, ნებისმიერი ცუდი, რაც არა მარტო საქართველოში, დედამიწის ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერ ქვეყანაში შეძლება, მხოლოდ და მხოლოდ გაუნათლებლობით მოხდეს.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი კი არა, უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს განათლება და სხვა ყველაფერი, აქედან გამომდინარე, კარგად იქნება.

— **ბოლოს, როგორც პროფესიონალის ხედვა გვაინტერესებს: რა მნიშვნელობა აქვს სპორტსა და ცხოვრების ჯანსაღ წესს საზოგადოების განვითარებისთვის, მოზარდი თაობის აღზრდისთვის?**

— ეს ძალიან რიტორიკული კითხვაა. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, თუ არა მხოლოდ კარგი და დადებითი. სკოლებში უნდა იყოს სპორტის გაკვეთილების მაქსიმალური რაოდენობა, არ ვიცი, ეს ზოგადი ფიზკულტურა იქნება თუ სპორტული სექციები. უნდა იყოს მუნიციპალური დარბაზები, სადაც ნებისმიერი სოციალური ფენის ოჯახიდან ბავშვებს, მოზარდებს, ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება, ივარჯიშონ. ყოველთვის მეკითხებიან ცალსახად, მხოლოდ ფეხბურთის შესახებ — ეს სპორტის ერთ-ერთი სახეობაა და არა ერთადერთი. სპორტით დაკავება არაა აუცილებელი, ბავშვისთვის პროფესიულ საქმიანობაში გადავიდეს. ზოგი მშობელი ასე ფიქრობს: ან გამოვა დიდი სპორტსმენი ან ტყუილად დრო არ დაკარგოსო. არ არის ეს სწორი მიდგომა. სპორტი როგორც კვება, ძილი, სავალდებულო ნაწილია ადამიანის განვითარებისთვის. ეს არის ერთ-ერთი სერიოზული პრევენცია ნარკომანიის ან მოზარდთა დანაშაულის წინააღმდეგ და ამიტომ ცხოვრების სპორტული სტილი, ჯანსაღი ახალგაზრდობა სახელმწიფო დონეზე განსახილველი თემაა.

ვანო პავლიაშვილი

# „თუ მიშა ასეთი კურდღელი იყო, მაშინ დაუწვებოდა პუტინს, როგორც ახლა უწვებიან!“

## „ვერ გეტყვით, რომ სააკაშვილის მიმართ პირადი სიყვარული გამაჩნია!“ — რატომ დაარქვეს სევდია და როდის გახდება „ქოცი“ თბილისის ყოფილი ვიცე-მერი



**სევდია უგრეხელიძე სად ვნახო-მეთქი, ვკითხე გარემონტებული საკრებულოს მესამე სართულზე პირველსავე შემხვედრს. დიაცმა გამჭოლად ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე, მხრებზე მოსხმული მანტო შეათამაშა და თვალით მანიშნა, იქითო. მადლობის ნიშნად, თავი დავუკარი და დერეფნის სიღრმისკენ წავედი. სევდიასთან მიდის, ვაჟბატონიიი, — მომაძახა უცნობმა. ამ „ქოცს“ აშკარად „ნაცი“ ვგონივარ-მეთქი, გამეცინა... საკრებულოს ნაცმოძრაობის ფრაქციის თავქალის კაბინეტში ძველი ნაცნობი დამხვდა, მომიკითხა, ყავა შემომთავაზა... არ დამიწყოთ, ნაციონალური ყავა როგორ დალიეო. როგორ და, კარგად! ისე, „ქოცური“ ყავაც დამილევია... ჰოდა, ახლა, სმენა იყოს და გაგონება — მე და „ვერსია“ თბილისის ყოფილი ვიცე-მერის, სევდია უგრეხელიძის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ.**

**— ქალბატონო სევდია, როგორ ხარ, 21 მარტისთვის ემზადებით?**

— ეს ჩვეულებრივი მუშაობა და ერთ-ერთი რიგითი ღონისძიებაა, რომელიც ჩვენს ოპოზიციურ ნიშასთანაა დაკავშირებული.

**— რა ვიცი, თუკი რიგითი ღონისძიებაა, დიდი აჟიოტაჟი, რატომღა ატყდა? ისე, რაც ხელისუფლება დაკარგეთ, უკვე მესამე მიტინგისთვის ემზადებით, თუმცა წინა ორის სამზადისი ასეთი ხმაურიანი არ ყოფილა...**

— მაშინ ხელისუფლება ახალი მოსული იყო და ხალხს, ალბათ, ჯერ კიდევ დიდი იმედი ჰქონდა; თვითონაც ეგონა, რომ საარჩევნო დაპირებების შესრულება შეეძლო, მაგრამ ხალხმა დაინახა, რომ „ოცნებას“ სიტუაცია ვერ უჭირავს — ლარი, ეკონომიკა გაექცა, უკმაყოფილებაა. ერთმანეთის მიმართ დაძაბულობა შიგნითაც არსებობს — ისინი, ვინც ადრე ბიძინა ივანიშვილის ფავორიტები იყვნენ, აღარ არიან.

**— ეს საიდან იცით?**

— სიტუაციიდან ჩანს, ამიტომ შიშის განცდა აქვთ.

**— საბურავები მართლა მოიმარაგეთ?**

— ამის კატეგორიული წინააღმდეგები ვართ!.. ადრე პარტიაში ნომინალურად ვიყავი: არც მანდატი მქონდა, არც — ურთიერთობა და არც პარტიის საქმიანობაში ვიყავი ჩახედული, არც მაინტერესებდა და, როგორც პარტიული მუშაკი, არც მათ ვჭირდებოდი. ახლა კი იმ მაღალ ეშელონებთან, ვინც ვართ დარჩენილი, დაახლოებული ვარ და, როცა ლაპარაკი პარტიის შიდადემოკრატიაზეა, მიკვირს, ნუთუ, სხვა დროს სხვანაირად იყო-მეთქი?

**— ესე იგი, ნაცმოძრაობაში შიდადემოკრატიაა?**

— მოგეხსენებათ, აბსოლუტური დემოკრატია არ არსებობს, მაგრამ ადამიანები ერთმანეთს ეკითხებიან, თუმცა ავტორიტეტს, ვისაც პარტიაში ბევრი უკეთებია, პატივს ვცემ.

**— ნაცმოძრაობის მთავარი იდეოლოგი ისევ სააკაშვილია?**

— პარტიაში მთავარი იდეოლოგები აღარ არსებობენ. მიხეილ სააკაშვილი შორსაა და პულტი არ არის, რომ მართო.

**— სამაგიეროდ, არის სოციალური ქსელი — 21-ე საუკუნეა!..**

— იმას კი არ ვამბობ, რომ შეუძლებელია, მაგრამ ყველას აქვს იმდენი ეთიკურობის შეგრძნება, რომ, როცა აქ ჩვენ ვიხარშებით, ის შორიდან ვერ მიგვითითებს, როგორ მოვიქცეთ და რა გავაკეთოთ. მის მოსაზრებებს, რა თქმა უნდა, ანგარიშს ვუწევთ, მაგრამ ის დრო, ეს უნდა გაკეთდეს და მორჩაო, დამთავრდა... ჩვენი მიდგომა ასეთია: ხელისუფლების ვადამდე, მით უმეტეს, არაკონსტიტუციური გზით შეცვლა, არავის აწყობს, რადგან ეს დემოკრატიულ განვითარებაში წყვეტა იქნება: ზვიადმა, 1990 წლის 28 ოქტომბერს, ხელისუფლება მშვიდობიანად შეცვალა, თუმცა მისი დამხობა სისხლითა და ტყვიით მოხდა, რის შემდეგაც შევარდნაძემ აფხაზეთი ომით ჩააბარა...

**— მომიტევეთ და, კოდორთან დაკავშირებით სააკაშვილსაც ანალოგიურ ბრალდებას უყენებენ...**

— ის ახალი პროცესი იყო, ეს კი — დაწყებულის გაგრძელება, მაგრამ სხვა რამის თქმა მინდა: ზვიადის დამხობა იარაღით მოხდა და, მასთან შედარებით, „ვარდების რევოლუცია“ წინგადადგმული ნაბიჯი იყო — კონსტიტუციის საზღვრებიდან არ გასულა.

**— რევოლუციონერები პარლამენტში შეიჭრნენ...**

— ეს არაფერს ნიშნავდა, რადგან ის მოვალეობა, რაც კონსტიტუციურად ევალებოდა, პარლამენტის თავმჯდომარემ შეასრულა, ბატონი შევარდნაძეც, რასაც ვერ დავუკარგავთ, თვითონ გადადგა — შუბლზე იარაღი არავის დაუდია... სააკაშვილმა ბევრჯერ თქვა, ცვლილება ბუნებრივია — ადამიანს ერთი და იგივე ხელისუფლება ბეზრდება და, მის მიმართ პრეტენზიებიც რომ არ ჰქონდეს, მაინც უკეთესი უნდაო. ამიტომ, ხელისუფლების არაკონსტიტუციურად შეცვლა საქართველოსთვის დამღუპველია. მომხრე ვართ, ხელისუფლებისთვის კონსტიტუციურ ვადაში, არჩევნებით ვიბრძოლოთ!

**— კეთილი და პატიოსანი, თუმცა ტელევიზიით, პრაქტიკულად, თქვენი საარჩევნო კლიპი გადის.**

— იმიტომ, რომ ხელისუფლებამ მზადება რიგგარეშე არჩევნებისთვის დაიწყო.

**— „ოცნებას“ მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია...**

— ივანიშვილმა დაშვება გააკეთა.

**— ივანიშვილი ხელისუფლება არ არის!**

— ივანიშვილი, სწორედაც, ხელისუფლებაა. ქართველი ხალხი ვერ ეგუება და, ჩვენთან ერთად, იმას ებრძვის, რომ არაუფლებამოსილი პირი რეალური ხელისუფლებაა — ის კეთდება, რასაც იტყვის. მისი რეალური ძალა მილიარდებია... გუნდის შიგნით ავტორიტეტი ჯერ კიდევ აქვს...

**— ავტორიტეტი მოსახლეობაშიც აქვს.**

— ვერ დაგეთანხმებით... მოსახლეობის ნაწილმა იწამა, რომ ივანიშვილი, თავისი მილიარდებით, კეთილდღეობას ისევე მოუტანდა, როგორც მანამდე „ქველმოქმედებას“ ეწეოდა, მაგრამ ის, რაც ნამდვილი ქველმოქმედება გვეგონა, თურმე, მოსყიდვა ყოფილა... ქვეყანა დაღმა მიდის.

**— ქალბატონო სევდია, უნდა შეგეკამათოთ...**

— რა თქმა უნდა...

**— ნაცმოძრაობამ 2012 წლის არჩევნებში 40 პროცენტზე მეტი მიიღო, რაც ქართველი ხალხის სინონიმი არაა, მაგრამ პოლიტიკოსებს ხალხის სახელით ლაპარაკი გჩვევიათ...**

— რაც გინდათ, ის დავარქვათ — ამომრჩევლის ნაწილი...

**— ნაცმოძრაობა რომ შეიქმნა, გაჩნდა მოსაზრება, გამსახურდიას მიმდევრები მიხეილ სააკაშვილს ზვიადს ადარებენო... მიშასთან როგორ აღმოჩნდით?**

— ეს სასაცილო შედარებაა, რომელიც მხოლოდ სააკაშვილისა და გამსახურდიას მტრებისგან მომისმენია. მტრებისთვის, სიძულვილის ობიექტად, გამსახურდია და სააკაშვილი ერთი და იგივე იყო. ესენი რეტროგრადები არიან, საბჭოთა მენტალობის ხალხი, რომელსაც ეშინია, ჰგონია, რუსული ენა იცის, მაგრამ ამ დროს, ორი სიტყვა არ იცის და იდეოლოგიურ მტრად დასავლეთს მიიჩნევს. ვინაიდან ზვიადი დასავლეთისკენ იყო, სააკაშვილიც მათთვის მტერი ამიტომაა. კიდევ ერთი თვისება: სათქმელს ორივე პირდაპირ ამბობდა...

**— თავს ზვიადისტად თვლით?**

— რა თქმა უნდა.

**— მიშისტადაც?**

— ასეთი არ არსებობს. შევარდნაძისტი, მიშისტი, ვიღაცისტი — ასეთი ცნებაც ვერ ჩამოყალიბდა. ჩემს სტუდენტებს შეიძლება, სევდიისტები დავარქვათ, მაგრამ ეს ხომ სწორი არ იქნება. იმ ადამიანებს ზვიადისტები მტრულად დაარქვეს. არადა, ეს საქართველოს დამოუკიდებლობასა და დასავლურობისკენ მიმართული იდეოლოგია იყო. ზვიადისტობა დღესაც ამას ჰქვია. ტყუილად ჰგონიათ, ზვიადი ვინმეს ფოჩიან კანფეტებს ჰპირდებოდა. ის ყოველთვის წერდა, რომ ეს ეკლიანი და ძნელი, გოლგოთისა და ჯვარცმის, მაგრამ გარდაუვალი აღდგომის გზაა. გამგები ამას იგებდა. სააკაშვილი, რომელსაც ზვიადი არ უყვარდა და მისი ფანი არ იყო, უნებლიედ ამ იდეის მხარდამჭერი გახდა...

**— ზვიადის ფანი როგორ იქნებოდა, როცა კომკავშირელი იყო და კაგებე-ს ჯარში მსახურობდა...**

— კი ბატონო... აქედან გამომდინარე, როგორ შემიძლია, სააკაშვილი გამსახურდიას შევადარო. ჩვენი ხელისუფლების სისუსტედ სწორედ ის მიმაჩნია, რომ არავინ გვყავდა, ვინც ამ იდეას აიღებდა და გაშლიდა...

**— სააკაშვილს არ ურჩევდით, რომ ასე მოქცეულიყო?**

— ჩემო ბატონო ვანო, ეს უნარია. სააკაშვილი იმ პრაგმატულ მონაპოვარს ხატავდა, რასაც საქართველო დასავლეთისგან მიიღებდა და ეს ხალხმა დაინახა — საზღვარგარეთ გავიდა, ის ცხოვრება ნახა, თუნდაც ერთი ფანჯრის პრინციპი და შადრევანი...

**— ყველაფერი ეს ფასადი იყოო, ამბობენ...**

— ეს ფასადი ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა და ხალხს ენატრება. აბა, გამორთული შადრევანი სჯობს? გუშინ რუსთაველზე გავიარე და ჩაბნელებული იყო. ესაა კარგი? შეხედეთ სატელევიზიო ანძას, რა მდგომარეობაშია. შიხიშვილმა კინაღამ დამაპატიმრა, რატომ გამორთეო. მთავრობის სხდომა ჩავატარეთ და გამორთვის გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ გვეჩვენებინა, ჩამქრალი ანძა, რომელიც შეიძლება, ეიფელის კოშკი არაა, მაგრამ თბილისის სიმბოლოა, ცუდია. სააკაშვილმა ყველაფერი ამ გზით წაიყვანა, მაგრამ ზვიადის ის შემართება დაგვაკლდა, რომელიც პრინციპიდან — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ — მოდიოდა. ყველაფერი ფასადი კი არა, ის იყო, რომ ინვესტიცია მოდიოდა.

**— ქალბატონო სევდია, ხალხი განათებულ ანძასა და მოწესრიგებულ გზებს კი არა, იმას გედავებოდათ, რომ ვთქვათ, ბიზნესმენებს არეკეტებდით, ქუჩაში ადამიანებს ხოცავდით, პატიმრებს აუპატიურებდით...**

— გაუპატიურებით დავიწყებ — ბედუკაძის მიერ დადგმულ სცენებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ — ბედუკაძე და მისი პატრონები ისე უნდა დაეჯილდოებინათ, როგორც დიდი რეჟისორები, მაგრამ ცალსახად ვამბობ: ეს დანაშაულია და დამნაშავეები უნდა დასჯილიყვნენ. ბედუკაძესა და სხვა 6 ადამიანთან საპროცესო გარიგების გაფორმება შეუძლებელია. ამ საქმის სპეციალისტი ვარ — სტრასბურგის სასამართლოს ადვოკატი ვიყავი და გეუბნებით: კბილაშვილმა საერთაშორისო დანაშაული ჩაიდინა, რადგან ევროპული კონვენციით, ადამიანი აბსოლუტურად დაცული წამებისგანაა და არ შეიძლება, მწამებელს რამე ეპატიოს. მწამებელთან საპროცესო გარიგების დადება გამორიცხულია!

**— გირგვლიანის წამება-მკვლელობისთვის გასამართლებულები მიშამაც შეიწყალა, გახსოვთ?**

— მათ სასჯელი მოიხადეს, ესენი კი, ერთი დღეც არ მსხდარან.

**— სასჯელი კი არ მოიხადეს, შეიწყალა!**

— ფეხი სწორედ ამიტომაც წაიტეხა. სხვათა შორის, არავის უთქვამს, რომ ისინი კარგად მოიქცნენ — საქმე ქუჩურად გაარჩიეს და აწამეს. გირგვლიანის საქმე მკვლელობა კი არა, წამება იყო, რაც უარესია! სასჯელიც მკვლელობის მცდელობისა და წამებისთვის განესაზღვრათ, თუმცა შეიძლება, ზოგს უნდოდა, მათთვის სახალხოდ თვალები დაგვეთხარა.

**— მოკლედ, ამ ხალხის შეწყალებით სააკაშვილმა შეცდომა დაუშვა?**

— შეცდომა თავისი თავისთვის დაუშვა, თორემ კანონი არ დაურღვევია. საერთოდ, დამწყვდეული ადამიანის წამება სხვაა, თავისუფალის კი — სხვა.

**— როცა ხელისუფლებაში იყავით, ამ შეცდომებზე სააკაშვილთან გილაპარაკიათ?**

— მაშინ სხვა სფეროში ვმუშაობდი.

**— გარედან ისე ჩანდა, მიშა პატივს გცემდათ და გემეგობრებოდათ.**

— პატივს, შეიძლება, ბევრს სცემდა, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ მქონია... ყოველთვის პატიმრის მხარეს ვიყავი და ვიქნები. ჩვენი ხელისუფლების დროსაც ასე იყო და ვინმეს დაჭერისას ხელისუფლებას არასოდეს ვენდობი!

**— დაჭერების ასპექტში არც თქვენს ხელისუფლებას ენდობოდით?**

— დიახ, არც ჩვენსას ვენდობოდი, რადგან ხელისუფლების სენია — შეუძლია, თავის უფლებამოსილებას ყოველთვის გადაამეტოს. ადვოკატის შვილი ვარ — მამაჩემი ძალიან ცნობილი ადვოკატი, დისიდენტური აზროვნების ადამიანი იყო და დახვრეტის წინააღმდეგ გამოდიოდა — მოსკოვში ხუთ საქმეს წაიღებდა და აქედან ოთხს მაინც გააუქმებდა.

**— ქალბატონო სევდია, თუკი ნაცმოძრაობას, როგორც ხელისუფლებას, დაჭერების ასპექტში არ ენდობოდით...**

— (სიტყვას მაწყვეტინებს) ზვიადის ხელისუფლება რომ გაგრძელებულიყო, შეიძლება...

**— ოპოზიციაში წასულიყავით?**

— ოპოზიციაში წასვლა სხვა რამეა — იქიდან, სადაც ვარ, ოპოზიციაში მანამ არ წავალ, ვიდრე კარდინალური მიმართულებიდან გადახვევას არ დავინახავ. ჩემთვის მთავარი დასავლეთისკენ სვლაა. აბსოლუტურად კეთილი სახელმწიფო არ არსებობს — ყოველთვის ვიღაცის უფლებას დაარღვევს.

**— ეს ვიცი, მაგრამ წამების წინააღმდეგ უამრავი მიტინგი ტარდებოდა და ერთხელ რატომ არ შეუერთდით?**

— მაშინ უნდა წამოვსულიყავი და ჩემი საქმე არ მეკეთებინა.

**— შიგნიდან გაგეპროტესტებინათ!**

— ხომ გითხარით, რომ პარტიასთან ახლოს არ ვიყავი, თან მიშა 2006 წლის მერე ნანახი არ მყავდა — მისი ახლობელი და მეგობარი კი არ ვარ. მიშა მაშინ გავიცანი, როცა მოქკავშირის ფრაქციის თავმჯდომარე იყო — ჩემ პატიმრებთან დაკავშირებით დავდიოდი, ვეჩხუბებოდი. პატიმრების გამოშვებაში დამეხმარა და ეს საქმე მერე ზურაბ ჟვანიამ გააგრძელა, რომლის მიმართაც სიმპათია არ მქონდა, მაგრამ ჭკუა იხმარა და მიხვდა, რომ ზვიადისტებისა და ფაშისტების ძახილით ქვეყანა ვერ ვითარდებოდა. თანხმობის კომისია გააკეთა და 66 პატიმარი, მათ შორის, ზვიად ძიძიგური, ბიძინა გუჯაბიძე და სხვები გამოვიყვანეთ, თუმცა ბევრი დარჩა.

**— ძიძიგურიც და გუჯაბიძეც, თქვენი არ იყოს, მიშასთან წავიდნენ...**

— წავიდნენ და მერე წამოვიდნენ, ეს მათი ნებაა. როგორ შემიძლია, ვინმე დავზრახო?! ოფისი ვაკის პარკში ჰქონდათ, იქ შემთხვევით მოვხვდი და ნაცმოძრაობის დამფუძნებელთა შორის აღმოვჩნდი — მგონი, 47-ე ვიყავი.

**— იმის თქმა გინდათ, რომ პოლიტიკაში შემთხვევით ჩაერთეთ?**

— ეს პოლიტიკა კი არა, მხარდაჭერა იყო. ახლა ვხვდები, პოლიტიკაში 1992 წელს მოვედი, როცა ზვიადი დაამხეს და უფლებადაცვითი საქმიანობა დავიწყე — უფლებადამცველობა, თავისთავად, გზაა პოლიტიკაში, რადგან ეს ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული. როცა ხელისუფლების წინააღმდეგ რაღაცას აკეთებ, ისეთ ოპოზიციაში აღმოჩნდები, რომელსაც პოლიტიკური ნიშა უჭირავს. ეს მსოფლიოში ცნობილი პრაქტიკაა...

**— ის, რომ პოლიტიკოსი ხართ, მას შემდეგ გააცნობიერეთ, რაც ნაციონალები ხელისუფლებიდან წახვედით?**

— არა, ალბათ, ცოტა უფრო ადრე. არადა, თავიდან პოლიტიკად საკრებულოში ყოფნასაც არ ვთვლიდი — პროექტ „თბილისელების ადვოკატს“ ვხელმძღვანელობდი, რომელიც გიგიმ იმიტომ გააკეთა, იმ ხალხს დავხმარებოდი, რომლის უფლებებსაც მერია არღვევდა.

**— თავის დროზე, ითქვა, რომ ამ პროექტით ფული „თეთრდებოდა“...**

— ვაიმე, რა სასაცილოა! უნდა ჩაიხედოთ და ნახოთ, ბიუჯეტი რამდენი გვქონდა.

**— რამდენი?**

— თავიდან 300 ათასით დაიწყო, მერე, სამეწარმეო სფერო დაემატა — ადვოკატები ბაზრობებზე ისხდნენ და მუშაობდნენ. მხოლოდ ხელფასი და ტელეფონის ფული იყო და რა უნდა გათეთრებულიყო?

**— „თბილისელების ადვოკატი“, პრაქტიკულად, პიარნაბიჯი იყო, არა?**

— არა... ისე გამოვიდა, რომ თავი პიარამბებში ამოვყავი და ამის საჭიროება არის, მაგრამ ძალიან არ მიყვარს იმიტომ, რომ, როცა ადვოკატი ვიყავი, გურამ აბსანძის დროს, კომენტარს დღეში სამჯერ ვაკეთებდი, ჩემი თავი ისე მომბეზრდა და მემახინჯებოდა, რომ სარკეში ვეღარ ვიხედებოდი...

**— პიარი შეიძლება, არ გიყვართ, მაგრამ ბოლო დღეებია, რიმა ბერიძე გედებატებათ. მაგას უპატრონო ხომ არ ჰგონიხართ? ისე, ბოლოს და ბოლოს, გაარკვიეთ, ქალური ქალი რას ნიშნავს?**

— (გულინად იცინის) ძალიან სასაცილო ამბავია: ქალბატონი რიმა სხვა სამყაროდან მოსული ადამიანია — პარტიული მუშაკი

იყო. ქალბატონ რიმას ერთი რამ ვერ გავაგებინე, რომ პოლიტიკაში გაგების ქალობისა და კაცობის კრიტერიუმებს არ ვცნობ.

**— ისე, ქალური ქალური ხართ? ვთქვათ, კერძების მომზადება გეხერხებათ?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერს ვაკეთებ — გადასარევ ხაჭაპურსა და საცივს.

**— ესე იგი, ქალური ქალი ყოფილხართ...**

— არ ვიცი... კრიტერიუმი ესაა თუ ის, რომ ბრენდების ტანსაცმელი მიყვარდეს? — არ მიყვარს, ტანსაცმელი რომ დაიხევა, უნდა გადააგდო.

**— „სექენდ ჰენდში“ რამე გიყიდიათ?**

— გაჭირვების დროს, რა თქმა უნდა, მიყიდია, მაგრამ ახლა აღარ ვყიდულობ. აი, მაგალითად, დღეს 11 წლის პერანგი მაცვია...

**— ქალბატონო სევდია, ნაცმოძრაობის „ბროშკა“ რატომ არ გიკეთიათ?**

— ნაცმოძრაობის გულსაბნევი რომელია?

**— საქართველოსა და ევროკავშირის გადაჯვარედინებული დროშები...**

— თბილისის საკრებულოს გულსაბნევი მიკეთია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ევროსაბჭოს კონგრესზე მივდივარ — წევრი ვარ. საერთოდ, ძალიან საპატიოა, რომ მესამე მოწვევის საკრებულოს წევრი ვარ, თუმცა თავიდან, როცა ძიძიგურმა დამირეკა და მითხრა, მოდი, ახლა, სევდია, მიშამ თქვა, კაი ხალხი მეიყვანეო...

**— ზვიადმა ასე თქვა, მეიყვანეო?**

— ნუ, ახლა, ხომ იცით, ზვიადი მაინც ჩვენია.

**— არ გამაგიჟოთ, მაინც თქვენი როგორაა?**

— მოსაკლავად კი არ მემეტება! ჩვენი ზვიადია... ფული არჩია სამშობლოს, მაგრამ რა გავაკეთო? — ეს მისი არჩევანია.

**— შეიძლება, ზვიადმაც თქვას, სევდიამ ფული არჩიაო...**

— კი, ბატონო, თქვას... ფული ვარჩიე, მე? ამას იტყვის? ასეთი ნამუსგარეცხილი არაა!

**— სამკაულებსა და მაკიაჟს არ ატარებთ. რატომ?**

— ცოტა მაკიაჟი მაქვს — ტელევიზიებშიც მიკეთებენ. ყურის გახვრეტა და ადრე გათხოვება, სირცხვილად ითვლებოდა. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც უბრალოება და სიღარიბე საამაყო იყო — ბებია და ბაბუა მათემატიკოსები იყვნენ, დედა ერთ-ერთი პირველი ინჟინერი ქალი გახლდათ, მამა — ადვოკატი, სახელმწიფო სამსახურში არასოდეს უმუშავია და ჩვენთვის მატერიალური სიკეთის სურვილიც კი სირცხვილი იყო.

**— საბჭოთა დროს სახელიც კი ერთგვარ ცენზურას, ასე ვთქვათ, ექვემდებარებოდა. სევდია რატომ დაგარქვეს ან ამის გამო თანატოლები ხომ არ დაგცინოდნენ? ისე, დედმამიშვილებს უცნაური სახელები გქვიათ...**

— შეგიძლიათ, მარტვილის ღვთისმშობლის მონასტერში მიბრძანდეთ, სადაც ქტიტორების კედელზე აწერია, თავად დადიანის ასული მიქელაძის ქალი სევდია, რომელიც ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორი ანუ ამშენებელია. სევდია ძველქართული სახელია, თუმცა სახელი სევდა თურქულენოვან ხალხებსაც აქვთ. სევდა თურქულად, როგორც ვიცი, სიყვარულს ნიშნავს, ოღონდ — ინტიმურს და დედაშვილურს კი არა, არამედ, უფრო ღრმასა და ამაღლებულს, როგორიც სამშობლოსა და ღმერთისადმი სიყვარულია!

**— ისე, სევდიანი ხართ?**

— სახელი ადამიანს თავის დამღას ასვამს და ბავშვობაში ეს ჩემზე მოქმედებდა — ცოტა მელანქოლიური სტილი მქონდა. რაც შეეხება დაცინვას, არასოდეს არავისგან მიგრძნია, კარგად ვსწავლობდი, მეგობრული ვიყავი... შეიძლება, ზურგსუკან ვიღაც დამცინის, მაგრამ არ მაინტერესებს. მას დასცინიან, ვისაც დაცინვის ეშინია. მამაჩემი ასეთი პიროვნება იყო — ყველგან და ყოველთვის არაადეკვატურად იქცეოდა, მაგალითად, შეეძლო, ვინმესთვის ხელი არ ჩამოერთმია და ეთქვა, გაწიე შენი სისხლიანი ხელიო. ქელეხს ვერ იტანდა და არ დადიოდა... მიჩვეული ვიყავი: მამა უცნაურად იქცეოდა, მაგრამ ყველა პატივს სცემდა და ამიტომ, უცნაურობის არასოდეს მშინებია!

**— მაგიდაზე თვალი ინგლისური ენის წიგნებს მოვკარი. სწავლობთ?**

— დიახ, ვმეცადინეობ — კონგრესის წევრი ვარ და მჭირდება.

**— არც ხალხის რისხვის გეშინიათ?**

— უიმე, უკაცრავად, — „ბეტეერით“ დამდევდნენ... გელა ლანჩავას იარაღი ამოვაცალე — უკან ჰქონდა „გაკვეხებული“ და ვუთხარი, გვესროლე-მეთქი.

**— როცა შეიარაღებული ფორმირება დაგდევთ, სხვაა, მაგრამ აქ ხალხის რისხვაზეა ლაპარაკი — სხვა თუ არაფერი, ქვეყანაში, როგორც ამბობენ, 300 ათასი პრობაციონერი იყო...**

— 300 ათასი პრობაციონერი არ ყოფილა და ეს დათვლილია: ნარმანიას წინადადებით, ჯერ თქვეს, პოლიტპატიმრებსო, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ასეთი კატეგორია არ არსებობს და პრობაციონერებს უფასო მგზავრობა მისცეს. პრობაციონერებისთვის პრობაცია არ მოუხსნიათ და პატარა რაოდენობა აღმოჩნდა, 700-ის ფარგლებში. ასე რომ, ეს ცრუ ციფრებია, რომლის ღაღადითაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა. ისე, არ ვთვლი, რომ დიდი გარდატეხა ცოცხებმა მოახდინა. ეს, ვფიქრობ, წესიერ ადამიანებში დაგროვილი ცვლილების სურვილი იყო. ორი წლის შვილიშვილი მყავს, წარმოიდგინეთ, როგორ მიყვარს, მაგრამ მისი ტიტინიც მბეზრდება და სხვა ოთახში გავდივარ ხოლმე. როცა ერთსა და იმავეს გეჩიჩინება, მით უმეტეს, ორი წლის საყვარელი ბავშვი კი არა, მიხეილ სააკაშვილი, თავში აღარც შედის და აღარც გჯერა.

**— ქალბატონო სევდია, ის კადრები გაქვთ ნანახი, აგვისტოს ომის დროს, თუ არ ვცდები, გორში, დაბომბვისას, მიხეილ სააკაშვილი რომ იმალება? სხვათა შორის, ამის გამო ოპოზიცია კურდღელს ეძახდა...**

— ამაში ვერაფერს ვხედავ... დაცვის ფუნქციაა, დაახტეს და დააწვინოს. ისედაც, არავინ რომ დახტომოდა, როცა დიდი ხმაური და აფეთქებაა, ყურზე ხელის აფარება, თავის ჩაწევა და ა.შ. ადამიანის ჩვეულებრივი რეაქციაა. თუ ასეთი მხდალი და კურდღელი იყო, მაშინ დაუწვებოდა პუტინს, როგორც ახლა უწვებიან.

**— ახლა ვინ უწვება?**

— საქართველოს ხელისუფლება — კარასინის ფორმატით, მწვანილით, ამით, იმით, ნელ-ნელა რუსეთისკენ გვაჩოჩებს. ამას ქართველი ხედავს, მაგრამ ასეთი მცოცავი რაღაცის გაკეთება ძნელია.

**— არ დაგავიწყდეთ, რომ ნაციონალების დროს საქართველოში, როგორც ინვესტორი, 400-ზე მეტი რუსული კომპანია შემოვიდა.**

— დიახ, მაგრამ მაშინ საშიშები იმდენად არ იყვნენ, რამდენადაც პოლიტიკურად, სხვა კურსი გვქონდა. ამ საფრთხეს წერტილი, საბოლოოდ, ნატო-მ უნდა დაუსვას. თოფაძესავით მეტყვით, ეს არასოდეს მოხდებაო.

**— რატომ გგონიათ, რომ თოფაძესავით გეტყვით? საქართველოს ევროატლანტიკური მიზნები ნაციონალების მოგონილი არაა. ასე რომ, რა თქმა უნდა, ნატო!**

— თქვენ კი არა, ვიღაც მეტყვის, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ისეა, როგორც ღვთისადმი რწმენა: რაც უნდა მორწმუნე ვიყოთ და ეკლესიურად ვიცხოვროთ, ის, რასაც უფალი ჩვენგან ითხოვს, ვერასოდეს გავხდებით. ასევეა სამშობლოს სიყვარული — მთავარია, საით მივდივართ. ბავშვიც ასეა: რაღაცას დააშავებს, მაგრამ მთავარი სურვილია, საით ილტვის — შპიონი და დამსმენი ბავშვი იყოს და კანფეტი ასე მოიპოვოს თუ...

**— მიშაზე გამიგია, ბავშვობაში „ჩამშვები“ იყოო...**

— მიშას ბავშვობაზე ვერაფერს გეტყვით იმიტომ, რომ ნამდვილად არ მაინტერესებს. ის იმ საქმეს აკეთებდა, რაც მაინტერესებდა...

**— რაც პატიმრობაშია, გიგი ნახეთ?**

— მხოლოდ სასამართლოზე.

**— რაც წავიდა, სააკაშვილს შეხვდით?**

— არა, არა...

**— რომელი უფრო გენატრებათ?**

— ადამიანურად, სიახლოვე არავისთან მქონია. ვიდრე ვიცე-მერად დამნიშნავდა, გიგის მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით ვხვდებოდი. თავიდან მიშასთან, რევოლუციამდე უფრო მეტი კონტაქტი მქონდა, თუმცა ვერ გეტყვით, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ პირადი სიყვარული გამაჩნია! ეს დამოკიდებულება იმითაა განპირობებული, რომ სწორად აზროვნებს, ძალიან სწრაფი და კრეატიულია. კი ბატონო, თუ გინდათ, გიჟი ეძახეთ, თავისებურად, რა თქმა უნდა, ნორმაში არ ზის მისი სისწრაფე, კრეატიულობა და იმ პრობლემების წვდომა, რაც დღეს მსოფლიოშია.

**— ესე იგი, მიშა შერეკილია?**

— ეს ლანძღვაა!



**— როგორ გეკადრებათ — ელდარ შენგელაიამ ფილმს „შერეკილები“ იმიტომ დაარქვა, რომ გმირები განსხვავებულად აზროვნებდნენ!**

— ამით სწორედ იმის დამტკიცება მოისურვა, რომ შერეკილი ლანძღვა არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიტყვა შერეკილი ლანძღვა არაა. ის განსხვავებული ადამიანია! ჩემი მაზლი, ვაჟა ჩაჩავა 30 წელი მოსკოვის კონსერვატორიაში კათედრის გამგე იყო, 2008 წლის აგვისტოს მერე ჩამოვიდა, უყურა, უყურა და იკითხა, ამას ეძახიან გიჟსო? კი-მეთქი, გიჟს ეძახიან, მათ შორის, სიყვარულით, ჩვენი გიჟიო — კოორდინატორები რომ არიან...

**— ანუ, ნაცკოორდინატორები მიშას გიჟს ეძახდნენ?**

— კი, სიყვარულით, რა თქმა უნდა...

**— სააკაშვილისთვის თქვენც გითქვამთ, ჩემო გიჟო?**

— არა, ასეთი ლირიკა არ მახასიათებს, ისინი სხვანაირი ქალები არიან, მე — სხვანაირი. ჰოდა, ვაჟა ჩაჩავამ თქვა, ამას ეძახიან გიჟსო? აბა, ნორმალური შევარდნაძე იყო და საქართველო გაღმა რომ გაიყვანოს, ცოტა გიჟი უნდა იყოსო. თვითონ ხელოვანი ადამიანი იყო და ეს გაიგო. რაც შეეხება გიგის, თუ საქმე შედარებაზე მიდგება, გიგი ცოტა უფრო გულუბრყვილო, ჰუმანური, რბილი და მოსიყვარულეა, რომელსაც ადამიანების სიცუდის არ სჯერა.

**— გიგი ასეთი კეთილშობილი თქვენი გადასახედიდანაა, ქალბატონო სევდია, მაგრამ მოდი, აბა, სხვასაც ვკითხოთ...**

— გიგის არც პატიმარი ეხებოდა და არც — არაფერი...

**— ნაციონალების ერთ-ერთ იდეოლოგად ითვლებოდა...**

— ეს ჭორებია. იმაში ხომ არ ურევთ, ომის დროს იქ იყო, აქ იყოო?..

**— არაფერში ვურევ!**

— სხვათა შორის, გიგი ძალიან ზრდადი ახალგაზრდა აღმოჩნდა — რომ მოვიდა, ცოტა „რეზკი“ იყო, მკვახე და ამბობენ, რაღაცები ეშლებოდაო, მაგრამ რაც მერიაში მოვიდა, ჩემს თვალწინ შეიცვალა...

**— მოკლედ, ქალბატონო სევდია, აღიარებთ, რომ თქვენი ხელისუფლება შეცდომებს უშვებდა!**

— უშეცდომო არავინაა და თვით ქალბატონმა რიმა ბერიძემაც თქვა, ვინც საქმეს აკეთებს, შეცდომებიც მოსდისო...

**— რა ამის პასუხია და, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, სამართლიანობის აღდგენა სახელმწიფოსთვის ცირკისა და სხვა ქონების დაბრუნებით უნდა დაიწყოსო. მაშინაც, როცა ამ ობიექტების გასხვისება ხდებოდა, მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებში იყო — ჯერ მოქკავშირის ფრაქციას ხელმძღვანელობდა, მერე კი იუსტიციის მინისტრის პოსტი ეკავა...**

— ეს რა შუაშია?

**— იმის თქმა მინდა, რომ თუკი პრივატიზაცია უკანონოდ ხდებოდა, სააკაშვილი რატომ არ აპროტესტებდა?**

— სააკაშვილს პირველად რომ შევხვდი, ამაზე ვეჩხუბე, შევარდნაძე ჩვენ კი არა, სხვას უსმენსო. აბა, ამ ხელისუფლებაში რატომ ხარ-მეთქი. ის სხვა რამისთვის ემზადებოდა — იქ იმიტომ იყო, რომ ის გამხდარიყო, მერე რაც გახდა... რაც შეეხება ქონების დათმობას, ეს, მინიმუმ, ორ კატეგორიად უნდა დაიყოს: ქონება, ვისაც სწორი გზითა და არანეპოტიზმით აქვს მოპოვებული და მილიონობით ღირებული ქონება, 10 ათასად რომ აქვს ნაყიდი, აქ გამოძიებული უნდა იყოს, ვინმეს ზედმეტად გადაუხადა თუ შევარდნაძის გარემოცვის წევრი იყო და ქონება ნეპოტიზმით მიიღო.

**— ნეპოტიზმი მიშასაც ახასიათებდა — მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს აგარაკი ერთ ლარად აჩუქა...**

— ჰოდა, ძალიან ცუდი. მერე ჩამოართვა, მაგრამ არც უნდა მიეცა. მიშას ყველაფერში კი არ ვეთანხმები, მაგრამ, ვიდრე მიშა არ იტყვის, რუსეთი კარგია და ბაბაია უნდა დავუძახოთო, მისი შეხედულებების მომხრე ვარ. ეს ხელისუფლება ქონებას „უპრაგუნოდ“ ანუ შერჩევით დააბრუნებს, რათა ხალხს აჩვენოს, სამართლიანობა აღდგა. ადამიანს ქონება შეიძლება, უკანონოდ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ზეწოლისა და წამების უფლება არავის აქვს და ის ხალხი, ვინც ეს გააკეთა, უნდა დაისაჯოს. თუ წამება არ დაჭირვებია, თვითონ დათმო და საპროცესოს ხელი მოაწერა, სამართლებრივად, როგორ უნდა დაიბრუნოს?

**— ქონების მფლობელები ნოტარიუსთან ღამღამობით მიჰყავდათ...**

— ეს, თავისთავად, არაფერზე მეტყველებს — თუ მომაკვდავი ვარ და ანდერძის დატოვება მინდა, ღამე ნოტარიუსის გამოძახება მეც შემიძლია. იმის გამო, რომ ასეთი ბევრი შემთხვევა იყო, ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ პოლიტიკური ფასი გადაიხადა! სამართლიანობის აღდგენა ის იქნება, თუ წინა პერიოდშიც გადავლენ, ქონება როგორ და რანაირად აქვთ მიღებული, ასევე, იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება, ვინც ზემოქმედება მოახდინეს...

**— ქალბატონო სევდია, რასაც ახლა გკითხავთ, შეიძლება, არ გესიამოვნოთ: როგორც მითხარით, გვიან მიხვდით, რომ პოლიტიკაში ჩაერთეთ. დღევანდელი გადასახედიდან, ხომ არ ნანობთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა დაიწყეთ? ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ეს პიროვნულ ტრაგედიად გექცათ — ძმასთან ურთიერთობა გაწყვიტეთ...**

— თვითონ ავრცელებს ხმას, რომ თითქოს პოლიტიკასთანაა კავშირში, მაგრამ ეს ზოგად ზნეობრივ შეხედულებებთანაა კავშირში. თუ გახსოვთ, ადრე ამბობდნენ, პარტმუშაკებს გადასხმული სისხლი აქვთო. ჩვენ დისიდენტი ოჯახი ვიყავით — პარტიული არავინ იყო. სადღაც 40 წლის ასაკში, შევარდნაძის ხელისუფლებამ გადაიბირა. შევარდნაძე, დიდი ხნის განმავლობაში, ჯერ მამაჩემის გადაბირებას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა... ის პარტიაში მაშინ შეიყვანეს, როცა საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და იმ დღიდან მოხდა ჩვენი დაცილება... მერე, ზვიადმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა და ის უკანონო პროცესები — დევნა და დახვრეტის განაჩენები, რომლებიც მან გამოიტანა, ჩემი ოჯახისთვის ძალიან დიდი ზნეობრივი ლაქაა, რასაც მამა განიცდიდა. ჩემი ქმარი ზვიადის დროს უზენაესი საბჭოს წევრი იყო, ძმაც წევრი იყო, ოღონდ — კომუნისტური პარტიიდან.

**— ზვიადმა შეცდომა დაუშვა, როცა კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა?**

— დიახ, როცა გროზნოში ვიყავი, ზვიადმა მითხრა, ისეთი მამის შვილი იყო, მეგონა, მასში ქართველობა მეტი იქნებოდაო...

**— ყველაფრის მიუხედავად, ქალბატონო სევდია, ძმა გიყვართ?**

— რა სასაცილო კითხვაა! კიდეც მიყვარს და კიდეც მებრალება.

**— არ გინდათ, შეხვდეთ და შერიგდეთ?**

— ამისთვის ყოველთვის მზად ვარ, მაგრამ მზად ის არაა!

**— ბოლოს, ქალბატონო სევდია, ხომ არ ნანობთ, რომ შემხვდით?**

— არა, არა... არაპროფესიონალს, წერა-კითხვა და ქართული რომ არ იცის, ვერ შევხვდები — ვერ იგებს, რას ვეუბნები და გადაატრიალებს. ამიტომ, გუშინვე არ ვნანობდი, რომ შეხვედრაზე დაგთანხმდით... ძალიან ძნელია, როცა რაღაცას თავიდანვე არ სწავლობ, მერე პროფესიონალი იყო. სულ ვამბობდი, ღმერთმა ქნას, საქართველოს ის დრო დაუდგეს, როცა კატებს არ აყეფებენ — ახლა მე ვასრულებ ძაღლის მოვალეობას — როგორც ადვოკატი და იურისტი და კატა ვარ-მეთქი.

**— პოლიტიკაშიც კატა ხართ და ძაღლის მოვალეობას ასრულებთ?**

— პოლიტიკაშიც ისეთი სულელი არ ვარ, ვფიქრობდე, სწორი მხოლოდ ისაა, როგორც მე ვსაზღვრავ-მეთქი. საქართველოში, ხომ იცით, რა პოლიტიკური მოსაზრებები გვაქვს და არჩევანიც მათ შორის კეთდება, მთვარიდან არავინ მოვა. პოლიტიკაში ჩემს თავთან ორი კითხვა მაქვს: ზვიადი რომ ადგეს, რას იზამდა და მამაჩემი და ჩემი და რომ დამისვან, რას მეტყვიან. აქედან გამომდინარე, მესმის, ჩემი მოსაზრებები, გლობალური პოლიტიკის ასპექტში, შეიძლება, ფასეული არ იყოს და ვცდილობ, ამ მოცემულობაში სწორი არჩევანი გავაკეთო. მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი მაქვს გაკეთებული. სხვათა შორის, ღალატი და გადასვლა არაფრად მიმაჩნია — ადამიანი პარტიას გამოიცვლის. უკეთესი რომ გამოჩნდეს, რა თქმა უნდა, გამოვიცვლი. მთავარია, ადამიანი პარტიას ანგარების მიზნით არ იცვლიდეს!

**— შეიძლება, ოდესმე ის დრო დადგეს, როცა სევდია უგრეხელიძე „ქოცი“ გახდება?**

— თუ „საქოცეთი“ საგარეო მიმართებაში თავის შეხედულებებს რადიკალურად შეიცვლის და შურისმაძიებელ პოლიტიკას დატოვებს, რა თქმა უნდა, შეიძლება! მთავარი, სახელი კი არა, მოქმედება და გუნდია! მეკითხებით, პროტესტი რატომ არ გამოაცხადეთო, ადეიშვილი მესიჯებზეც აღარ მპასუხობდა და რა უნდა მექნა, ტყვია მესროლა? სასჯელთა შეკრებისა თუ დაზარალებული სტატუსის გაუქმების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ამ ცვლილებებზე ხელი არ მიმიწვდებოდა და რომ დამეტოვებინა და გავქცეულიყავი, ვფიქრობ, ეს სიმხდალე იქნებოდა. ან ძალიან მაინტერესებს, სად უნდა წავსულიყავი — გაჩეჩილაძესთან?

# „ივანიშვილი გაკოტრდა!“



## თემურ შაშიაშვილი ნინო ბურჯანაძეზე გულნატკენია

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რამდენიმე დღის წინ, თბილისში ე.წ. ქართველთა კონგრესი ჩატარდა, მანამდე კი, 8 თებერვალს, ღონისძიება ქუთაისში, გაიმართა. 27 მარტს კონგრესი ბათუმს „ეწვევა“ და, როგორც ვერსიას ღონისძიების მთავარმა მედროშემ, თემურ შაშიაშვილმა განუცხადა, 5 ოქტომბრამდე ქვეყნის გადარჩენის პროგრამაზე მუშაობა დასრულდება... მოკლედ, „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი „ვერსიასთან“ 3-თვიან დუმილს არღვევს და ირწმუნება, რომ ბიძინა ივანიშვილი გაკოტრდა, ნაციონალურ მოძრაობას კი სათავეში გიორგი მარგველაშვილი ან ირაკლი ალასანია ჩაუდგება.**

— დღეს ქვეყანაში გაცილებით დიდი დეპრესიაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. 2012 წლის 1 ოქტომბერი გეოგრაფიული სიმაღლე აღმოჩნდა, რომელიც „ოცნებამ“ ერთხელ აიღო და მაშინვე ქვემოთ დაეშვა. დღეს საქართველო ბანკირის ფსიქოლოგიით იმართება. ეს კარგი მხოლოდ ბანკშია და არათუ ქვეყანაში, ოჯახშიც მიუღებელია, ბიძინა ივანიშვილი ძალიან ეჭვიანი კაცია და ყველა, ვინც არ ეთანხმება, მტრად მიაჩნია. მონური ფსიქოლოგიის ადამიანები მასავით არავის ჰყვარებია, თან ყველა ძირითად თანამდებობაზე მის ბანკგავლილი პირი დანიშნა. ყველა პარტია წინააღმდეგობის, ურთიერთდაპირისპირების გზით მიდის, რასაც ვემიჯნები და მრცხვენია, რომ პოლიტიკოსი ვარ!

— **სახალხო კრება ისევე, როგორც ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს არსებული სხვა აქტიური ორგანიზაციები, ლიკვიდირებულნი არიან. დღევანდელი ვითარება სწორედ ამ პასიურობის ბრალი ხომ არ არის?**

— ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ სახალხო კრებამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანა. ჩვენ ბოლომდე უნდა გვებრძოლა. ნონა გაფრინდაშვილი იმდენად იმედგაცრუებული და ხელებჩამოშვებულია, არაფრის თქმა არ სურს. ყველამ იცის, როგორ უჭერდა მხარს ქალბატონო ნონა ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, დადუმდა — ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რაიმეს თქმა არ სურს.

— **რატომ?**

— ფაქტია, სახალხო კრების პრინციპი — ბრძოლა ბოლომდე, დავიწყებულია.

— **როცა ამბობთ, ყველა პარტია ერთ გზას ადგასო, ბურჯანაძის ძალასაც გულისხმობთ?**

— ძირითადად, ჩვენ სახალხო კრება გვაერთიანებდა. ურთიერთობაში არავითარი პრობლემა არ არსებობს. ბურჯანაძეს, შეიძლება, ბევრ საკითხზე სწორი პოზიცია აქვს, მაგრამ მისი მოქმედების ტაქტიკას არ ვეთანხმები.

— **მისი პარტიის წევრები ხელისუფლების სხვადასხვა შტოში გადანაწილდნენ — ლუკა კურტანიძე და გოგი ქავთარაძე პარლამენტში სხედან, წინასაარჩევნოდ ქდმ შეიერთა, ამას რა ჰქვია?**

— ნაკლებად მაწუხებს... გულნატკენი ვარ, როგორც მოიქცა და როგორც მიჰყავს ახლა ვითარება ნინო ბურჯანაძეს. პრაგმატული ინტერესების გამო, თუნდაც ქდმ-სთან შეერთება არასწორი იყო. ზოგადად, რამდენიმე თვის წინ, დიდი ომი გადავიტანე, როცა თქვენთან ინტერვიუში გამოვთქვი მოსაზრება, პარლამენტში ამდენი სპორტსმენი და ხელოვანი არ უნდა იყოს-მეთქი, თუმცა ეს რომ ასეა, დღეს სადავო აღარ არის. 4-5 თვეა ბურჯანაძეს არ შევხვედრილვარ და სურვილი არ მაქვს, კავშირი რომელიმე პარტიასთან მქონდეს. არც ერთი პარტიის არ მწამს, რომელიც აშშ-ს ელჩთან შეხვედრაზე სიხარულით გარბის და იმას არ ეკითხება, ერთხელ მაინც რატომ არაა ნამყოფი მეცნიერებათა აკადემიაში, რატომ არ ხვდება მეცნიერებს. ელჩი, რომელიც თავს პატივს სცემს, ჩადის ქვეყანაში, კითხულობს ლიტერატურას, ეცნობა ისტორიას, მიდის მუზეუმში, ხვდება მეცნიერებს. საქართველოში მეცნიერებს უთხრეს, აი, თქვენ ფული, წადით, სახლში დასხედით, მათხოვრები ხართო. მერაბ ბერძენიშვილს რომ დაუძახეს, რამდენიმე წლის წინ, როცა ყველას ფულს ურიგებდნენ და უთხრეს, ფული აიღეო, იკითხა, რისთვის მაძლევთო?! ჩემი ნამუშევრები თუ მოგწონთ, დადგით და ამაში გადამიხადეთ ფულიო. ამიტომ ვცემ მას პატივს და ამიტომ აირჩია ბერძენიშვილი თავმჯდომარედ კონგრესმა. „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობის გაგრძელება გახდა. მე კი დღეს იმ ადამიანებთან ვდგავარ, ვინც სხვა გზას ირჩევს.

— **სხვა გზა რომელია — ოპოზიციაში გადასული ირაკლი ალასანია, რომელიც „ოცნების“ კოალიციიდან თქვენთვის ყველაზე მისაღები იყო?**

— იყო! ადრე ვამბობდი, თუ ბურჯანაძე არ გინდათ პრეზიდენტად, ალასანია მაინც აირჩიეთ-მეთქი, თუმცა ადამიანი ყველაზე კრიტიკულ ვითარებაში გადადგმული ნაბიჯებით ფასდება. ალასანიამ, როგორც პიროვნებამ, ყველა კრიტიკულ ვითარებაში წააგო. ვაი, იმას, ვისაც ალასანია მეორე ძალად მიაჩნია ქვეყანაში — ეს მხოლოდ დასავლეთს აწყობს, რომელიც მიხვდა, რომ ივანიშვილის ავტორიტეტი კოსმოსური სიჩქარით იკლებს. როცა იგივე სააკაშვილს დაემართა, მაშინ ასპარეზზე ნინო ბურჯანაძე შემოვიდა, რომელსაც ამერიკელებიცა და დასავლეთიც ელაპარაკებოდა.

— **და პუტინი ხვდებოდა, „პაკლონნაია გარაზე“.**

— არ შეიძლება, ადამიანებს ასე ავადმყოფურად გადავეკიდოთ. პუტინთან შეხვედრაზე ყველა პოლიტიკოსი ოცნებობს! მას კი არ უნდა დაარტყა, ვინც ამას ღიად აკეთებს, არამედ მას, ვინც რუს და ამერიკელ პოლიტიკოსებს ჩუმად ხვდება! არც ინტერპარტიულ ჯგუფთან ვთანამშრომლობ, რადგან ჩემი შეთავაზება არ მიიღეს. აღარც მეძახიან, რადგან ჩემი აზრი იციან. შევთავაზე, თუ ტელევიზიები და ხმაურის ატეხა არ გსურთ, მაშინ საარჩევნო კოდექსი პარტიების ლიდერებმა კი არა, ამ საქმის პროფესიონალებმა უნდა შეცვალონ-მეთქი. ჩემი წინადადება არ მიიღეს, სამაგიეროდ, პრეზიდენტთან გაიქცნენ შესახვედრად, არადა, აგინებენ. დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილმა პარტია რომ შექმნას, მასთან მივლენ.

— **ეს საიდანღა მოიტანეთ?**

— იქიდან, რომ დღეს პრეზიდენტი რა მდგომარეობაშიცაა, მისი სურვილი კი არა, ქვეყნის გარედან დაკვეთაა.

— **21 მარტი და მთავრობის გადადგომის მოთხოვნაც დაკვეთაა?**

— რა თქმა უნდა. „ოცნებას“ ხომ სულ ვაკრიტიკებ, მაგრამ მხოლოდ ერთი დღე, 21 მარტს, მის მხარეს ერთი მოცემულობის გამო დავდგები: 21 მარტს აშშ-ს სურს, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი შეამოწმოს. ამ პარტიას, ალბათ, სააკაშვილს მოაცილებენ, სხვა ოდიოზურ ფიგურებსაც უკრაინაში გაიყვანენ, წინ სხვებს წამოსწევენ და ამ პარტიას სათავეში ირაკლი ალასანია ან გიორგი მარგველაშვილი ჩაუდგება. მერე, შესაძლოა, რესპუბლიკური პარტია შეუერთონ და ახალ სიმბიოზს მივიღებთ. სააკაშვილს შავ საქმეს გააკეთებინებენ — ვითარება რომ დაიძაბოს, და ა.შ. აშშ ხედავს, ნაციონალების გაგრძელება, „ოცნება“, ავტორიტეტს კარგავს, თან, შესაძლოა, ის არც ისეთი ამერიკული აღმოჩნდეს, როგორც ეგონათ და ამიტომ პროცესს ხელოვნურად მართავენ. მათთვის მთავარია, საქართველოში ამერიკული განწყობის პარტიამ გაიმარჯვოს.

— **თქვენი აზრით, 21 მარტს მაინც რა მოხდება — „ამერიკული ჩანაფიქრი“ მაინცდამაინც 21-ში განხორციელდება?**

— 21 მარტს მოვლენები იმის მიხედვით განვითარდება, რამდენი ადამიანიც გამოვა გარეთ. აშშ აანალიზებს, რა უყოს ნაციონალურ მოძრაობას — დაიტოვოს საკუთარ დასაყრდენად, ვინმე შეუერთს თუ მთლიანად სხვა ძალით ჩაანაცვლოს. მართალი იყო მარგველაშვილი, როცა თქვა, პლასტილინი ვარო, უბრალოდ, ივანიშვილს ეგონა, მისი პლასტილინი იყო და აშშ-სი აღმოჩნდა. ის, ვინც 21 მარტს ქუჩაში გავა, მხოლოდ ნაციონალების მხარდამჭერი იქნება, რადგან ალასანია და რესპუბლიკელები ამ პროცესს ჩამოაცილეს და ნეიტრალური შეფასებები გააკეთებინეს.

— **ბატონო თემურ, ახლა არ მითხრათ, რომ ივანიშვილსაც აშშ მართავს?**

— ბიძინა ივანიშვილი არაფრის აზრზე არაა — მარტო ბანკის მართვა იცის, ისიც სხვების დახმარებით. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მისი უცხოური კაპიტალი თუ აქტივები დღეს მისი საკუთრება აღარ არის.

— **აბა, ვისია?**

— ბიძინა ივანიშვილი დღეს ყველაზე რთულ ვითარებაშია. მან დაკარგა ავტორიტეტი და კარგავს ფულსაც. უფულო ივანიშვილი კი არავის სჭირდება — ის ყველაფერს დაკარგავს.

— **ამას რის საფუძველზე ამბობთ ან რით ამტკიცებთ?**

— მისი ქმედებების საფუძველზე... კონკრეტულად, ბანკს ბევრი ისეთი პიროვნება ჩამოაშორა, ვისაც შესაძლოა, შექმნილი მდგომარეობის შესახებ ამბავი გამოეტანა და ხმამაღლა ეთქვა. დღეს მის ბანკში მხოლოდ მისი ნდობით აღჭურვილი პირები დარჩნენ. გამოშვებულთაგან ერთ წესიერ კაცს მეც ვიცნობ, სხვას ვერაფერს გეტყვით. იგი ბანკიდან იმის გამოა გამოშვებული, რომ არაფერი თქვას და ისიც ვიცი, რასაც ახლა ვამბობ, ამის გამო ბევრი დამიპირისპირდება. სინამდვილეში, ამ განცხადებით პანიკას მე კი არა, ის თესავს, ვინც ამბობს, რომ ივანიშვილი გადაგვარჩენსო.

— **აბა, ვინ გადაგვარჩენს, კონგრესი? საერთოდ, რას წარმოადგენს ეს კონგრესი და ამ შეკრებების მიზანი რა არის?**

— კონგრესი ამბობს, რომ პარტიების პროგრამებმა დაგვაქციეს. ახლა ქვეყნის მდგომარეობისა და მისი პოტენციალის ანალიზი კეთდება და პარალელურად, პროგრამაზეც ვმუშაობთ. ოქტომბერში, როცა ყოველთა ქართველთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი შედგება, ჩვენს სათქმელს ყველა პარტიას ვეტყვით. ვინც ჩვენს მიერ შემუშავებულ პროგრამას შეასრულებს, 2 წლის მერე, ნდობის რეფერენდუმს ჩავატარებთ. ვინც ამ პროგრამას ვერ ან არ შეასრულებს, ასეთი ძალა ქვეყანას არ სჭირდება. კონგრესი 10-15 კაცს დაასახელებს, ძირითადად, ექსპერტებს და ხელისუფლებასთან ერთად მოქმედებებს დაიწყებს, რათა ქვეყანაში ვითარება შეიცვალოს. თუ ამას არ მოინდომებენ, შესაძლოა, საქმე ისე წავიდეს, კონგრესის ღონისძიებებმა სტადიონებიც გაავსოს. ჩვენ ქვეყნის წინსვლა გვინდა და არა ვადამდელი არჩევნები. პირიქით, ვეცდებით, ხელისუფლებას ამ ვადის მიყვანა ბოლომდე ვაიძულოთ, რადგან დღეს რიგგარეშე არჩევნები მხოლოდ „ოცნებას“ და იმ ძალებს აწყობს, ვინც ხელისუფლებასთან რაღაცაზეა გარიგებული. ვფიქრობთ, არჩევნები თავის დროზე უნდა ჩატარდეს...

## ვერსიანიუსი

### მუხრანის ტყეში 14 წლის მოზარდი ჩამომხრჩვალი იპოვეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, საქმე 115-ე მუხლითაა აღძრული, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში მცხოვრები 14 წლის მოზარდი, თორნიკე გახელაძე 3 დღის წინ დაიკარგა. საქმეში ჩართული იყო პოლიცია. ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ თორნიკე გახელაძე სახლიდან გასვლის შემდეგ ორ უცნობ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად ნახეს. ამის შემდეგ მოზარდის კვალი დაიკარგა.

*„ინტერპრესნიუსი“*

### საქართველოს რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა რუსეთი ანგარიშით 33:0 დაამარცხა



მატჩი ევროპის ჩემპიონატის ეგიდით გაიმართა. პირველი ტაიმი საქართველომ 6:0 მოიგო, მეორეში კი – მეტოქე 27:0 დაამარცხა. 4 საჯარიმო და 3 გარდასახვა ზუსტად შეასრულა მერაბ კვირიკაშვილმა, ხოლო ლელოები დავით კაჭარავამ, ზურაბ ჟვანიამ და კარლენ ასეიშვილმა დადეს.

მატჩი მიხეილ მესხის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა და ირაკლი მაჩხანელი გააცილეს, რომელმაც სანაკრებო კარიერა დაასრულა.

*„ინტერპრესნიუსი“*

### პუტინის დაცვის ყოფილი უფროსი გაუჩინარდა

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტთან ერთად, პუტინის ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი, მისი დაცვის ყოფილი უფროსი გენერალი ზოლოტოვიც გაუჩინარდა. სოციალური ქსელებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ გენერალი ზოლოტოვი ან მოკლეს, ან გარდაიცვალა. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ რუსულ პოლიტიკურ წრეებში აქტიურად საუბრობენ იმაზეც, რომ რუსეთში უკვე მოხდა სამხედრო გადატრიალება.

გენერალ-პოლკოვნიკი ზოლოტოვი 13 წლის განმავლობაში პუტინის პირადი დაცვის უფროსი იყო და პუტინის არცთუ ბევრი ერთგული მეგობრების სიაში ირიცხებოდა. იგი 2014 წლიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და შინაგანი ჯარების მთავარსარდალი იყო, უახლოეს მომავალში კი ФСБ-ს ხელმძღვანელი უნდა გამხდარიყო.

*„პირველი რადიო“*

# ინფექციური დაავადებები, რომლებსაც ფიტნესკლუბებში „აიკიდებთ“

## ამერიკელი მეცნიერების სკანდალური დასკვნა



თამარ ლომსაძე
599-20-94-01

**ბოლო დროს ფიტნესკლუბები მეტად მოდურია: ზოგი „სასვეცკაოდ“ დადის, ზოგი — სავარჯიშოდ, თუმცა ორივე კატეგორია ერთნაირად ექცევა გარკვეული რისკის ქვეშ, რომლის შესახებაც წარმოდგენა ნაკლებად აქვს. ამერიკელმა მიკრობიოლოგებმა, ჩატარებული კვლევის შედეგად, სკანდალური დასკვნა დადეს — ფიტნესკლუბები საშიში ბაქტერიების „თავშეყრის“ ადგილად აღიარეს და განაცხადეს, რომ სატრენაჟორო დარბაზში ერთი ვიზიტიც კი საკმარისია სერიოზული დაავადებით დაინფიცირებისთვის.**

მკვლევარებმა, პირველ რიგში, სპორტული სამოსის ფაქტურა შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ პოლიესტერი, რითიც მაისურები და შარვლები მზადდება, უამრავ მიკროორგანიზმს შეიცავს, რაც ინფექციის ერთ-ერთი წყაროა. გარდა ამისა, სპორტული ინვენტარიც „დახუნძლულია“ ამ ბაქტერიებით და მათი გადადების შანსიც ერთი ადამიანიდან მეორეზე, საკმაოდ მაღალია. ეს ბაქტერიები საკმაოდ მდგრადია სხვადასხვა ანტიბიოტიკის მიმართ, ადვილად მრავლდება და ამ მხრივ არც ბავშვები არიან დაცულნი. ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ, სპორტული კოსტიუმის რეცხვისას, ანტიბაქტერიული საშუალებები გამოვიყენოთ, მაგრამ როგორც ირკვევა, თავს კიდევ ერთი პრობლემა იჩენს — სპორტული დარბაზის იატაკი ყველანაირი მიკროორგანიზმის ბუდეა, თბილი ჰაერი და ვარჯიშისას გამოყოფილი ოფლი კი ოქროსფერი სტაფილოკოკის წყარო გახლავთ, რომლის ბაქტერიებიც „ბედნიერად ბინადრობენ“ ხელბურთისა და კალათბურთის ბურთებზე.

„უნდა ვაღიაროთ, სპორტული დარბაზები ნამდვილი რეზერვუარია საშიში ბაქტერიებისთვის, ამიტომ ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ინვენტარის სისტემატურად დეზინფიცირება აუცილებელია“, — აცხადებს პროფესორი ჯოშუა კოტერი, მაგრამ ვის სცალია დეზინფიცირებისთვის, მით უმეტეს, — საქართველოში?! შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ რაც უნდა ამტკიცონ ადგილობრივი ფიტნესკლუბების მფლობელებმა, დარბაზები სველი წესით ლაგდება, საშხაპეში იდეალური სისუფთავეა და გასახდელი ოთახებიც ბზინავსო, მსგავს პრობლემებს თავს მაინც ვერ აარიდებენ.

არავინ დავობს — ბრტყელი მუცელი ლამაზია, ჯანმრთელ სხეულშიც ჯანმრთელი სულია, მაგრამ ვინმეს გინახავთ ვარჯიშამდე და ვარჯიშის მერე, ფიტნესკლუბში ექიმი წნევის აპარატით დარბოდეს? ან თუნდაც ასე იყოს, ვინაა გარანტი, „გრუზინული პრინციპი“ — ვიდრე ფეხზე ვდგავარ, ექიმთან არ მივალ — აქტიური ვარჯიშისას სავალალო შედეგს არ გამოიღებს? არადა, ახალბედები ნაკლებად აცნობიერებენ საფრთხეს... ბევრი ვივარჯიშე და კუნთები მტკივა, — ეს რიგი პრობლემების მხოლოდ დასაწყისია, რადგან ფიზიკური დატვირთვისას გულის კუნთზე არანაკლები დატვირთვა მოდის და უკონტროლობამ, შესაძლოა, ლეტალურ შედეგამდეც მიგვიყვანოს. მით უმეტეს, ქართულ ფიტნესპრაქტიკაში მსგავსი ფაქტი ერთხელ უკვე მოხდა.

გარდა ამისა, მეტალის „ტრენაჟორები“ წყლულების მიზეზიც ხდება — კანი სკდება, უხეშდება და არაერთი ბაქტერიით დაინფიცირების პირდაპირი წყაროც შეიძლება გახდეს... ამიტომ ექსპერტები გვირჩევენ, ყოველთვის გამოვიყენოთ ხელთათმანი — ასეთ დროს უფრო დაცულები ვართ, მაგრამ ხალიჩაზე ვარჯიშისას ხელთათმანი უძლურია — ვარჯიშის ასეთი ფორმა შეიძლება, უცნაური გამონაყარის მიზეზი გახდეს, რომელიც დამწვრობას ჰგავს — კანი წითლდება და ყავისფერი ზედაპირით იფარება. ასეთ დროს, აუცილებლად ექიმს უნდა მიაკითხოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფექციის გავრცელების დიდი რისკი არსებობს.

საკმაოდ ხშირია აკნეც — მის წარმოშობას ხელს უწყობს თბილი, ნოტიო გარემო და ტანზე მომდგარი სინთეტური სპორტული სამოსი. ამ დროს კანი ვერ სუნთქავს, იხარშება და გამონაყარი ჩნდება.

რაც შეეხება ოქროსფერ სტაფილოკოკს, სუსტი იმუნური სისტემა მისი გავრცელებისთვის იდეალური გარემოა. სპორტული დარბაზები კი, როგორც აღვნიშნეთ, სტერილურობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, მით უმეტეს, გასახდელი და სააბაზანო. ასეთ დროს, არ აქვს მნიშვნელობა, გარეგნულად რამდენად სუფთად გამოიყურება იქაურობა; მეორე საფრთხე თავად „ტრენაჟორია“ — ყველა დარბაზში რამდენიმე სავარჯიშო მანქანაა, რომელზეც გამუდმებით ვარჯიშობენ — სწორედ მათზეა ყველაზე მეტი ბაქტერია. ამიტომ ვარჯიშის დროს, ხელით არ უნდა შევეხოთ სახესა და კისერს.

უმთავრესი საფრთხე კი ის კოქტეილებია, რასაც სხვადასხვა ფიტნესკლუბი ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევრებს აქტიურად სთავაზობს — უდავოა, ასეთი სასმელი ხელს უწყობს დაკუნთვას, მაგრამ რადგან ისინი ფიტნესკლუბში იყიდება, სულაც არ ნიშნავს, რომ უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის. თანამედროვე მეცნიერებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ სპორტული სასმელი მავნეა თირკმილის, ღვიძლისა და სისხლძარღვთა სისტემისთვის!

ასე რომ, ივარჯიშე და იყავი ჯანმრთელი, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გაუთვალისწინებლად, შესაძლოა, უკუღმა შემოტრიალდეს, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ვარჯიშამდე შაურმა და ვარჯიშის მერე არაყი, ცხოვრების ჯანსაღი წესის განუყოფელი ნაწილია!



# ჟანა ნემცოვა მამის მკვლელობაში დამნაშავედ პუტინს მიიჩნევს

**ბორის ნემცოვის ქალიშვილი ჟანა ნემცოვა, რომელიც რუსი ოპოზიციონერის დასაფლავების შემდეგ იტალიაში წავიდა, „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში, მამის მკვლელობაზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მთლიანად რუსეთის გაუჩინარებულ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს აკისრებს. „მამაჩემი პუტინის მთავარი კრიტიკოსი და რუსეთში ყველაზე ძლიერი ოპოზიციონერი იყო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პუტინს ებრძოდა და არა — სხვა ვინმეს“, — განუცხადა ჟანამ „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტ გაბრიელა გეითხაუსს. „მე ვერ გავჩუმდები, რადგან მათ მამაჩემი მოკლეს!“ — ამბობს ჟანა და დასძენს, რომ რუსეთში დაბრუნების არ ეშინია.**



### „ისინი სიმართლის დადგენით დაინტერესებულნი არ არიან!“

ბორის ნემცოვი 27 თებერვალს მოსკოვში, „დიდ მოსკვორეცკის“ ხიდზე მოკლეს — ხიდი კრემლს ემიჯნება. ამჟამად, ნემცოვის მკვლელობაში ხუთი ეჭვმიტანილი არსებობს. გამოძიების აზრით კი, ნემცოვის მკვლელი ზაურ დადაევია — ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბატალიონი „ჩრდიოლეთის“ მეთაურის ყოფილი მოადგილე. გამოძიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დადაევმა ჩადენილი დანაშაული აღიარა, თუმცა კანონდამცველებს ისიც უთხრა, რომ ოპოზიციონერი თავად არ მოუკლავს.

ჟანა ნემცოვა მიიჩნევს, რომ ოფიციალური გამოძიება მამამისის მკვლელობის ნამდვილ ორგანიზატორებს ვერ დაადგენს. **„ამ ე.წ. გამოძიებას არ ვენდობი ვიცი, რომ დასავლელ პოლიტიკოსებს უნდათ, საერთაშორისო გამოძიება ჩაატარონ, თუმცა არ ვიცი, ეს რამდენად სერიოზული სურვილია. ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება იქნება, რადგან რუსეთში არ არსებობს სამართლიანობა, დამოუკიდებელი მოსამართლე და დამოუკიდებელი გამოძიება“,** — განუცხადა ჟანამ „ბი-ბი-სის“.

ის ამბობს, რომ განაცვიფრა რუსული საინფორმაციო საშუალებებით გაჟღერებულმა აზრმა, რომ ნემცოვის მკვლელობას შემკვეთი არ ჰყავდა და ზაურ დადაევი საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა.

ჟანა ნემცოვას ცნობით, გამომძიებლები ჩვენების მისაცემად არც კი შეხმიანებიან. სამაგიეროდ, არ უშვებდნენ მამის სახლში, საიდანაც მკვლელობის მეორე ღამესვე, კანონდამცველებმა ტექნიკა და დოკუმენტები გაიტანეს.

**„ისინი სიმართლის დადგენით დაინტერესებულნი არ არიან“,** — ამბობს ჟანა ნემცოვა.

### „ჩეჩნეთში პატივს სცემდნენ“

ზაურ დადაევის თქმით, ჩვენების მიცემა მეგობრის, რუსლან უსუპოვის გათავისუფლების სანაცვლოდ აიძულეს. დადაევმა დამკვირვებლებს ასევე განუცხადა, რომ დაკავების შემდეგ უხეშად ექცევიან.

**„არ მჯერა, რომ ზაურ დადაევმა მოსკოვის ცენტრში, ყველაზე დაცულ ზონაში, სადაც მკვლელობის მომენტში რატომღაც ერთი კამერაც არ მუშაობდა, მამაჩემის მოკვლა შეძლო. მკვლელიც რომ იყოს, არ მჯერა, დამოუკიდებლად მოუნდა ნემცოვის მოკვლა, რადგან მოტივს ვერ ვხედავ“,** — ამბობს ჟანა ნემცოვა. მისივე აზრით, გამოძიების ვერსია, რომ დადაევმა მკვლელობა რელიგიურ ნიადაგზე ჩაიდინა, საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს.

**„ბორის ნემცოვს ჩეჩნეთში, დაღესტანსა და ინგუშეთში პატივს სცემდნენ. ხალხს ახსოვს, რომ მამაჩემი ჩეჩნეთში, ომის დასრულებაში დაეხმარა და ამის გამო მადლიერია“,** — იხსენებს ანა ნემცოვა.

### „ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებ“

ნემცოვის ქალიშვილის აზრით, მამის მკვლელობის მთავარი მიზეზი პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლა და კრიტიკა გახდა.

**„თავი არ მოვიტყუოთ, მოტივი კონკრეტული ეპიზოდი კი არა, მთლიანად მისი საქმიანობაა. ყოველთვის განსხვავებული პოზიცია ჰქონდა და მთავრობასთან კომპრომისზე არ მიდიოდა. იგი თავისი პრინციპების ერთგული იყო“,** — ამბობს ჟანა ნემცოვა და კატეგორიულად არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ნემცოვი მნიშვნელოვანი პოლიტიკოსი არ იყო. ჟანას თქმით, საწინააღმდეგოს ისიც ამტკიცებს, რომ მამამისის ანტირეკლამაზე ბევრი რუსული სამთავრობო არხი მუშაობდა.

**„ვისურვებდი და, ალბათ, მამაჩემიც მხარს დამიჭერდა, ყველა სამთავრობო ტელეარხის ხელმძღვანელისთვის დაეწესებინათ სანქციები საინფორმაციო ტერორისთვის. სწორედ იმ ტყუილისთვის, რომელსაც ავრცელებენ ყოველდღიურად, რის შედეგადაც ადამიანებს საერთოდ სხვა წარმოდგენა ექმნებათ მოვლენებსა თუ ადამიანებზე. იმედი მაქვს, ეს აუცილებლად მოხერხდება. ულისტიკოვს („ნტვ“-ს ხელმძღვანელი), დობროდეევს („როსიას“ ხელმძღვანელი) და ერნესტის („პირველი არხის“ ხელმძღვანელი) უნდა დაუწესდეს სანქციები, რადგან ისინი ხელს უწყობენ უკრაინაში კონფლიქტის გაღვივებას“,** — აცხადებს ნემცოვა და იმედოვნებს, რომ ასეთი ტიპის განცხადებები რუსეთის ხელისუფლებას აიძულებს, იგი პოლიტიკურ აქტივისტად მიიჩნიოს, თუმცა აქამდე ამ საქმიანობით დაკავებული არ ყოფილა.

**„იცით, ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი, მაგრამ ამ მკვლელობამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. ილუზია არ მქონდა, მაგრამ ასეთი რაღაც შეუძლებელი მეგონა. სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებ, რომ მამაჩემი მოკლეს“,** — აღიარებს ჟანა ნემცოვა.

*მოამზადა რუსუდან ხავთასმა*

პატიმარი №0578

# ცნობილი ბიზნესმენის სახლიდან პატრიარქის ნაქონი ვერცხლის ჯვარი მოიპარეს

## თაღლითი მაიას კრიმინალური ვნებანი



**რამდენიც უნდა ამტკიცონ სამართალდამცავებმა, რომ გაუხსნელი საქმე არ არსებობს, პრაქტიკა სხვა რამეს გვიჩვენებს — გაუხსნელი საქმე ყველა გამომძიებლის ოთახშია და მისი ჩამოწერა შემდეგნაირად ხდება: დაიჭერენ ვინმეს ქურდობის მეორე ნაწილზე, რომელზეც სასჯელი 4-დან 7 წლამდეა და დაკავებულს ეუბნებიან, ან ორ გაუხსნელ საქმეს და მინიმუმს შეიტენი ანუ 4 წელს მოგცემთ, ან მხოლოდ შენი საქმით წახვალ სროკზე და მაქსიმუმს, 7 წელს მიიღებო. დაკავებულსაც, რა თქმა უნდა, სხვისი საქმის აღება და სამი წლით ნაკლები სასჯელი ურჩევნია. გაგიკვირდებათ და, ზოგიერთები ამ საქმეებს შემდეგ სათავისოდ იყენებენ და სერიოზული „პრისტუპნიკის“ იმიჯს იმკვიდრებენ. აბა, სად ის, რომ სროკზე მობილური ტელეფონის ქურდობისთვის მიდიხარ და სად კიდევ ის, რომ მაგალითად, ვინმე ბობოლას ბინის გასუფთავებას, ან რომელიმე ფირმიდან სეიფის წაღებას გედავებიან, თუმცა...**

წინა ხელისუფლების დროს თავს უსაფრთხოდ ვერავინ გრძნობდა. ის ბიზნესმენებიც კი, რომელთაც წინა მთავრობა ოფიციალურად არეკეტებდა, მშვიდად ვერ იყვნენ. ხელისუფლების მადა განუსაზღვრელად იზრდებოდა და ბოლოს, როცა ბიზნესმენი გადახდას ვერ ახერხებდა, ან ციხე ელოდა, ან ბიზნესის მთლიანი დათმობა და ქვეყნიდან გადახვეწა...

თემური თ. საკუთარ ბიზნესს წლები აშენებდა, როცა სიმშვიდე უნდა ჰქონოდა, სწორედ მაშინ შეიცვალა ხელისუფლება და ახალმა მთავრობამ მალე რეკეტი დაიწყო. თემური ნელ-ნელა კარგავდა ყველაფერს და იფიქრა, მიატოვებდა, კაპიტალის გადარჩენილ ნაწილს საზღვარგარეთ გაიტანდა და მცირე ბიზნესს იქააწყობდა, მაგრამ ამ დროს გაუქურდეს და პირწმინდად გაასუფთავეს. ყველაფერ ამას კი ის მოჰყვა, რომ სამართალდამცავებმა მისი შვილი ნარკოტიკის მოხმარების ბრალდებით დააკავეს და 15 წელი მისცეს. თემურმა კინაღამ თავი მოიკლა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, რადაც უნდა დამიჯდეს, ბინის ქურდი უნდა ვიპოვოო და ჯერ სამართალდამცავებს დაჰპირდა ჯილდოს, შემდეგ კი „კანონიერ ქურდებს“ დაუკავშირდა, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ მისი ბინის გამქურდავი, ვერავინ გაიგო. რეალურად, თემურს ვერცხლის ჯვარი აინტერესებდა — წინაპარი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო და მისი ნაქონი ვერცხლის ჯვარი ოჯახის ყველაზე დიდ სიმდიდრედ და რელიქვიად ითვლებოდა. სამართალდამცავებმა უარი თქვეს, მაქსიმუმს ვაკეთებთ და არაფერი გამოგვდისო, კანონიერმა ქურდებმა კი მხრები აიჩეჩეს, აქაოდა, საქართველოში აღარ ვართ და როგორ ვაკონტროლოთ, მანდ რა ხდებაო. თემურმა შვილს უთხრა, მანდაც გაიკითხე, ეგებ, ვინმემ რამე იცის, მხოლოდ ის ჯვარი გვინდა, სხვაგვარად დაღუპულები ვართ ჩვენც და ჩვენი საგვარეულოცო. შაკომაც ზონა გადაატრიალა, მაგრამ ბინის ქურდობაზე არც მაყურებლებმა იცოდნენ რამე, არც — ბინის ქურდებმა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქურდი ბუნებაში არ არსებობდა, თუმცა...

„საქმე გაიხსნა, გესმის?! ვიღაც სენაკელი ბიჭი დაიჭირეს ქურდობაზე და ეს საქმეც აღიარა. შევეცდები, შენს ზონაზე მოხვდეს და მერე შენ იცი. ჯვრის გარდა არაფერი გვინდათქო, ასე უთხარი და არ მგონია, უარი თქვას“, — თემური შვილს პაემანზე დაძაბული ელაპარაკებოდა.

ზუსტად ორი თვის შემდეგ, გოგა ფ. რუსთავის №17 ზონაზე მიიყვანეს. შაკოს გარდა, მაყურებლები და მთელი ბლატატა ელოდა. ყველამ იცოდა, რომ სწორედ მას ჰქონდა ნაღიარები ცნობილი ბიზნესმენის ბინის გაქურდვა და ერთი სული ჰქონდათ, დეტალები მოეყოლა.

„ახლა გეტყვით და გაგიკვირდებათ: ვიდრე მაგ ტიპს აკაჩავებთ, მე დაველაპარაკები. ეგებ, მომიყვეს რამე. ცემა-ტყეპას ყოველთვის მოასწრებთ და ხომ გაგიგიათ, გველს ხვრელიდან ამოიყვანსო... არა, ეს შეიძლება არ გაგიგიათ, მაგრამ ახლა გაიგეთ“, — პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში ყავას წრუპავდა.

„არ არის ცუდი აზრი, მკვდარს აალაპარაკებს ეს და იქნებ, მართლა ჯერ ამან სცადოს“, — თქვა მაყურებელმა, მაგრამ შაკო აყვირდა: „რა დაელაპარაკოს, ტრაკიდან გამოვუღებ ყველაფერს. მარტო ჯვარიო, კი თქვა მამაჩემმა, მაგრამ მაგის გარდა, იცი, რამდენი რამე წაიღო?! ტექნიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, ნახატები, ხალიჩები... კედლები დატოვა მარტო...“

მაყურებლებმა ხმა ვერ გაიღეს და პატიმარი №0578-იც გაჩუმდა. გოგა კარანტინში იყო და ზონაზე მეორე დღეს უნდა აეყვანათ. დილით, ბლატატა შაკოსთან ერთად, ზონის შესასვლელთან იდგა და მოუთმენლად ელოდა პატიმრების ახალ ნაკადს, რომელიც კარანტინიდან, როგორც წესი, დილის 11-ზე ამოჰყავდათ. ზუსტად 11-ზე, ბადრაგის ნაცვლად, კორპუსის ოფიცერი, აყლაყუდა გოჩა გამოჩნდა, რომელსაც ერთი ჩია ბიჭი მოჰყვებოდა — ბიჭს ცელოფანი ეკავა და ძლივს მოათრევდა. პატიმარი №0578 მაშინვე გოჩასთან გაჩნდა.

„სხვები არ არიან?!“ — ჰკითხა.

„არა, ესეც სპეცეტაპით მოიყვანეს, მეგრელია, ჩემი სეხნიაა — გოგა ჰქვია, გვარი აღარ მახსოვს“, — გაიკრიჭა გოგა.

№0578-მა არეული სახით გახედა შაკოს და მაყურებლებს, რომლებიც პატიმარს თვალებით ჭამდნენ და მაშინვე მათკენ დაიძრა.

„შაკო, ახლა შენ თუ დაიჯერებ, რომ ამან თქვენი ბინა მარტომ გაასუფთავა, ის ხალიჩები და ტექნიკა მარტომ წაიღო, მაშინ გიჟი ყოფილხარ. ხვდები ხომ, რას გეუბნები? ცელოფანი ძლივს მოაქვს და იმ ცელოფანში, ტანსაცმლის გარდა, არაფერი ექნება. ვიღაც მამაძაღლობს რაღაცას და ეგებ, ამ ბიჭის განაჩენი გადმოვატანინოთ სოციალურ სამსახურს, ჩავიხედოთ, რა წერია და იქნებ, ამის პადელნიკები სხვა ზონაზე არიან“, — №0578 დამაჯერებლად საუბრობდა.

„მართალია, შაკო, ეს მარტო იმ ბინის წამლები არ იყო. განაჩენი გვინდა სასწრაფოდ“, — თქვა ზონის მაყურებელმა.

№0578 გოჩასთან მივიდა და უთხრა, რაციით სოციალური სამსახურიდან დათო მოვიდესო. დათო ათ წუთში გადმოვიდა. პატიმარი №0578 სულ რამდენიმე წამს ელაპარაკა, დათო გაბრუნდა და მალე ახლადმოყვანილი პატიმრის განაჩენით დაბრუნდა.

„გითხარი, სირობაა ყველაფერი ეს-მეთქი?! პროსტა, ძაღლებმა შეტენილი საქმე გამოიძრეს, თორემ რაც ამ დებილს აქ უწერია, მარტომ გავტეხე ბინა და მარტომ ვზიდე ყველაფერი მანქანაშიო, კი ხვდები შენ, რომ სისულელეა. მაინც დაველაპარაკოთ, ეგებ, რამე საინტერესო თქვას“, — განაჩენის წაკითხვის შემდეგ თქვა №0578.

გოგა ფ. მაყურებლების საკანში, პრაქტიკულად, შეათრიეს. დამფრთხალი იხედებოდა აქეთ-იქით, მერე საკუთარ განაჩენს ჰკიდა თვალი და სხაპასხუპით დაიწყო: „ისეთი არაფერი ჩამიდენია, კაზლიატნიკში ან საქათმეში რომ გამიშვათ. ბინის ქურდი ვარ, ბინებს ვტეხდი და მაგაზე ჩავვარდი. სამი ფაქტი დამიმტკიცეს, დანარჩენები ვერა და ოთხი წელი მომცეს“.

„ყურადღებით მომისმინე: შეკრებითობა გაგიგია, ხომ? ჰოდა, რა გინდა თქვა, დაგიჭირეს, სამი ქურდობა დაგიმტკიცეს და მხოლოდ 4 წელი მოგცეს? შენ შიგ ხომ არ გაქვს, ბიჭო, ტყუილს ვისთან ბედავ, ხვდები?! ახლა ახლიდან დაიწყე და ყველაფერი მოყევი“, — მაყურებელმა ისე „ლამაზად“ აუხსნა საქმის ვითარება გოგას, რომ ერთ წამში მოკვდა და ისევ გაცოცხლდა.

„მანქანის სარკის ქურდობაზე დამიჭირეს. მაგით ვცხოვრობ, რა. მერე ეს ორი ქურდობა შემტენეს, ბინის ქურდობები და დამპირდნენ, ოთხ წელს მოგცემთო. სხვანაირად, რაც თბილისში სარკეები მოპარულა, ყველაფერს მე მტენიდნენ და 20 წელი გამომდიოდა“, — ამოიქსუტუნა გოგამ.

ამის თქმა იყო და, შაკომ ახლადმოყვანილ პატიმარს ისეთი შემოარტყა, საკანში ლოტოსკოჭივით გააკოტრიალა.

„აი, ეგ კი აღარ იყო საჭირო“, — თქვა №0578-მა, გოგა წამოაყენა და მშვიდად ჰკითხა: „როცა ამ საქმეს გტენიდნენ, წაიკითხე მაინც, რა ეწერა?! იცი, ვის ბინას იტენიდი და რამდენს?!“

„წავიკითხე, მითხრეს, ცნობილი ბიზნესმენია, შეგვჭამაო და დამშვიდდება მისი ბინის ქურდი ციხეში რომ იქნებაო. ოთხ წელს მოგცემთო, ისე ოცსო და...“ — სლუკუნით თქვა გოგამ.

„ეგ უკვე მოყევი. გონება დაძაბე და გაიხსენე, ამ საქმეზე საუბრის დროს რამე ხომ არ წამოსცდენიათ გამომძიებლებს ისეთი, რაც უცნაურად გეჩვენა. რამე ისეთი, რაც გაგიკვირდა, ან სხვა სახელი და გვარი ან რამე, ნებისმიერი რამ გაიხსენე“, — მშვიდად უთხრა №0578-მა.

„არა, გამომძიებელს არაფერი, პროკურორმა თქვა...“ — გოგას აღარ დაასრულებინეს, შაკო ყელში ეცა და დახრჩობა დაუწყო: „რას ლექავ, რას მაიმუნობ, დროზე თქვი...“

№0578-მა შაკო გოგას მოაცილა, მერე მაყურებლებს შეხედა, უხმოდ დაუქნია თავი და პატიმარი თავის საკანში წაიყვანა. ჩაი მოუდუღა, ორცხობილა და შოკოლადი დაუდო, ჭამეო და ვიდრე გოგა ილუკმებოდა, ხმა არ გაუღია. შემდეგ სიგარეტი მიაწოდა, თავის ხელით მოუკიდა და მშვიდად უთხრა: „ახლა დაიწყე და შეეცადე, თითოეული სიტყვა გაიხსენო, რა გეჩვენა უცნაურად“.

„როცა ამ განაჩენს მაკითხებდნენ, ოთახში პროკურორი და ვიღაც კაცი იყვნენ. მაშინ თქვა პროკურორმა, ამ საქმეს მოვიცილებ, მაიაც კმაყოფილი იქნება და მეც ამოვისუნთქებ, შემჭამა მაგ ქალმა, მაგრამ ცეცხლია ლოგინში, ცეცხლიო. მეტი არაფერი უთქვამთ, მე თავი ავწიე ამ დროს და წამითაქეს, ეგ იკითხე, ბევრი დრო არ გვაქვსო. მეტი მართლა არაფერი უთქვამთ“, — ჩუმად თქვა გოგამ.

„ახლა მომისმინე: ცოცხლად რომ გაგატყაონ, არაფერი თქვა, იცოდე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, გაიგე?!“ — უთხრა №0578-მა და გოგამაც თავი უხმოდ დაუქნია.

პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში ჩავიდა, სიგარეტს ნერვიულად მოუკიდა და შაკოს ჰკითხა: „დედაშენი მაია სად მუშაობს?!“

„მაია დედაჩემი არ არის. ისე კი, სალონი აქვს სილამაზის და იმას ამუშავებს“, — უპასუხა შაკომ.

„მოიცა, კაცო, პაემანზე შენს სანახავად მამაშენს რომ დაჰყვება ხოლმე მაია, ეგ დედაშენი არ არის?!“, — გაიოცა №0578-მა.

„არა, დედა ადრე დამეღუპა, ეგ მეორე ცოლია მამაჩემის და მაია რა შუაშია?!“ — ეჭვით იკითხა შაკომ.

***

ერთი კვირის შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: მამა-შვილმა გაარკვიეს, რომ ბინის ქურდობა და შაკოსთვის წამლის ჩადებაც მაიას იდეა იყო. ქალი საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ამიტომ, დაკავება ვერ მოხერხდა, თუმცა მასზე ძებნა გამოცხადდა. მაია საქართველოში აღარ დაბრუნებულა, „ვიღაცამ“ გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. რაც შეეხება ჯვარს, როგორც შაკომ თქვა, სწორედ იმ ჯვრის გასაყიდად იყო მისი დედინაცვალი საზღვარგარეთ წასული და საგვარეულო ჯვარიც დაიკარგა.

ვერსიანიუსი

## შს მინისტრმა დაღუპული კურსანტების ხსოვნას პატივი მიაგო



შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ნიუ-ჯერსიში ტრაგიკულად დაღუპული ორი ქართველი სამხედრო კურსანტის — სოსო მაკარიძისა და ბესარიონ გორჯოლაძის ოჯახებს მიუსამძიმრა.

ვახტანგ გომელაური ქაშუეთის ტაძარში, სამოქალაქო პანაშვიდზე პრემიერსა და მთავრობის წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

*„ვერსიანიუსი“*

## ყაზბეგში სამთო-სამაშველო წვრთნები დასრულდა



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და შვეიცარიის განვითარების ფონდის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში 8-15 მარტს დაგეგმილი სამთო-სამაშველო ტრენინგი და გუდაური-ყაზბეგის მონაკვეთზე ჩატარებული საველე წვრთნები წარმატებით დასრულდა. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს, აგრეთვე, დაბა სტეფანწმინდაში დისლოცირებული I სამთო-სამაშველო ქვეგანყოფილების და დაბა მესტიაში დისლოცირებული II სამთო-სამაშველო ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა შვეიცარელ კოლეგებთან ერთად, გუდაურში ერთობლივი სიმულაციური ღონისძიება ჩაატარეს, რომელიც წინასწარ მომზადებული სცენარის მიხედვით განსაკუთრებით რთული რელიეფის მთაზე ჩატარდა. იგი სამთო მაშველების მიერ მთიდან დაზარალებული ადამიანის ჩამოყვანას გულისხმობდა. აღნიშნული სწავლების მიზანს კრიზისულ სიტუაციებში სამაშველო სამსახურების რეაგირების მექანიზმების გამოცდა წარმოადგენდა და იგი მოიცავდა ზამთრის სამთო-სამაშველო ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხებს: სათხილამურო ტექნიკისა და ზვავში საძებნი ინსტრუმენტების გამოყენება, ზვავის სახეობების დადგენა, თოვლის ფენების ანალიზი, დაცვის წერტილების მოწყობა თოვლსა და ყინულზე, შემთხვევის ადგილზე სამაშველო აქტივობის ორგანიზება, თოკთან მუშაობა და კვანძების მომზადება, პოლისპარტი (დაზარალებულის ნაპრალიდან ამოყვანა), ჰიპოთერმის პრევენცია, პაციენტის მდგომარეობის შეფასება.

სწავლების დასასრულს, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ლევან ბუილლიშვილმა მონაწილეებს სერთიფიკატები გადასცა, შვეიცარიელმა კოლეგებმა კი მათ სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

*„ვერსიანიუსი“*

# ქართველი ბავშვებისთვის ცირკი მავნეა ანუ ქამრების შემოჭერა მოზარდების ხარჯზე

## თანამედროვე „ცისფერი მთები“ ცირკის მოღვაწეთა კავშირისთვის



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ცირკის მოღვაწეთა კავშირი საქართველოს კულტურის სამინისტროს სთხოვს, რომ მუშაობის უფლება მისცეს ანუ საქართველოს სხვადასხვა რაიონებისა თუ სოფლების ბაგა-ბაღებში სპეციალური წარმოდგენა გამართოს. „ვერსიას“ ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, მსახიობი ოლეგ თავაძე დაუკავშირდა და იმ პრობლემების შესახებ უამბო, რასაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რაიონსა და სოფელში აწყდება.**

წლების წინ, ოლეგ თავაძე მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრებში მუშაობდა. მოგვიანებით, ცირკში გადაინაცვლა და საყოველთაო უმუშევრობის ფონზე, როცა ცირკის მოღვაწეთა კავშირი შეიქმნა, თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. თავის მხრივ, ოლეგ თავაძემ გასართობი ცენტრი „სატირონი“ დააფუძნა, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს და, ცირკის მსახიობებთან ერთად, სპეციალური პროგრამაც შექმნა:

**„გადავწყვიტეთ, საქართველოს მასშტაბით, ბაგა-ბაღებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის, საცირკო სანახაობა ადგილზე მიგვეტანა. შევკრიბეთ მსახიობები და თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს მივმართეთ, რათა უფლება მოეცა, ბავშვებისთვის შოუპროგრამა გაგვემართა. სააგენტოს უფროსმა აგვიხსნა, რომ ამ საკითხს ადგილზე, ბაგა-ბაღების გამგეები წყვეტდნენ. ამის შემდეგ კულტურის სამინისტროსა და კულტურის საქალაქო სამსახურსაც მივმართეთ, რათა ჩვენი ცენტრი „სატირონი“ საახალწლო ღონისძიებებშიც ჩართულიყო, მაგრამ ამაოდ. დღემდე ვერ გავიგეთ, ვინ, სად და რას აკეთებს, ან უშუალოდ გადაწყვეტილებას ვინ იღებს. მაგალითად, ჩავედი მცხეთაში, ქალაქის გამგეობაში მივედი და ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს ავუხსენი, რომ შოუპროგრამის ჩატარებას ვგეგმავდი, ისიც ვუთხარი, რომ ამ პროგრამით სოფლებშიც გვინდოდა გამოსვლა. ქალაქ მცხეთის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსმა, ქალბატონმა ეკამ მიპასუხა, რომ სოფლები მას არ ეხებოდა და გვერდით კაბინეტში გამგზავნა. იმ კაბინეტში ბატონი გოჩა დამხვდა, რომელმაც მითხრა, რომ ჯერ ქალაქ მცხეთაში უნდა ჩამეტარებინა ღონისძიება და თუ მოეწონებოდა, სოფლებშიც გამიშვებდა. მცხეთის რაიონში, ქალაქისა და სოფლების ჩათვლით, სულ 18 ბაგა-ბაღია, ვერ ვხვდები, რატომ წყვეტს ამ ბაგა-ბაღების ბედს გამგეობაში ორი სააგენტო? საბოლოოდ, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სააგენტოების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, ქალაქ მცხეთისა და მცხეთის რაიონის სოფლების ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისთვის, საცირკო სანახაობის ნაცვლად, თოჯინური სპექტაკლი ეჩვენებინათ“.**

მაშინ, როცა ხელისუფლება ადგილობრივ თვითმმართველობებს „ქამრების შემოჭერას“ ურჩევს, ოლეგ თავაძეს მცხეთის მაგალითზე ვერ გაურკვევია, რა საჭიროა, გამგეობაში საბავშვო ბაგა-ბაღების ორი, დამოუკიდებელი სააგენტო არსებობდეს. მეტიც, ოლეგ თავაძემ „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ ქალაქ მცხეთისა და მცხეთის რაიონის ბაგა-ბაღების სააგენტოების უფროსებს, რამდენიმე მრჩეველი და თანამშრომელი ემსახურება. მისი თქმით, ქალბატონ ეკასაც და ბატონ გოჩასაც, მინიმუმ, სამი-ოთხი თანამშრომელი ჰყავს:

**„ზუსტად ისიც კი არ ვიცი, ვის მივმართო, ან ვინაა პასუხისმგებელი ისეთ საკითხზე, რასაც ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისთვის საცირკო სანახაობის მოწყობა ჰქვია. სამწუხაროდ, ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი ამ საკითხს ადგილზე ვერ წყვეტს, მე კი სოფლის გამგეობიდან ქალაქში და ქალაქის გამგეობიდან — სოფელში მიწევს სირბილი. ესაა „ქამრების შემოჭერა“ და თვითმმართველობის რეფორმა? იმისთვის, რომ მცხეთის რაიონის სოფლების ბაგა-ბაღში წარმოდგენა გავმართოთ, თანხა მცხეთის გამგეობის ბაგა-ბაღების სააგენტომ უნდა ჩამირიცხოს. სულ 90 ბავშვია, ჩვენი ბილეთი 2 ლარი ღირს ანუ 180 ლარი მჭირდება, მაგრამ არაფერი უკითხავთ, მხოლოდ ის მითხრეს, თოჯინური სპექტაკლი გვირჩევნიაო და ამით დაასრულეს საუბარი. ჩემი აზრით, უარი იმიტომ გვითხრეს, რომ ვერ გადაწყვიტეს, თანხა ვის გამოეყო“.**

სამწუხაროდ, ოლეგ თავაძეს ანალოგიური პრობლემა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რაიონსა და სოფელშიც ექმნება. მისი თქმით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ამ მხრივ, სრული ქაოსია. მცხეთის მაგალითზეც ჩანს, რომ ადგილზე, გამგეობებში, შესაბამისი სააგენტოების ხელმძღვანელებიც კი არ არიან უფლებამოსილნი, ისეთი მარტივი საკითხი გადაწყვიტონ, როგორიც ბაგა-ბაღის აღსაზრდელებისთვის საცირკო სანახაობის გამართვაა:

**„მცხეთის შემდეგ, ბორჯომსა და ხაშურშიც გადავწყვიტეთ ჩასვლა, ვაპირებთ, ახალციხის რაიონშიც ჩავიდეთ. როგორც წესი, ქალაქის კულტურის სამსახურსა და რესურსცენტრს ვაყენებთ საქმის კურსში, რომ ჩამოდის დასი, რომელიც საცირკო სანახაობას გამართავს. სკოლებზე არ ვსაუბრობ, რადგან უფლებას არ მაძლევენ, მშობელთა კომიტეტში ბილეთები დავტოვო და თუ სურვილი ექნებათ, ღონისძიება ჩავატაროთ. წინა ხელისუფლების დროს მიიღეს კანონი, რომელიც სკოლებში კონცერტების ჩატარებას კრძალავს და ეს კანონი ისევ ძალაშია. კანონის მიხედვით, დირექტორმა სამი თვის ვადაში, ტენდერი უნდა გამოაცხადოს, მაგრამ ჩემს მაგალითზე გეტყვით, რომ საბოლოოდ, ტენდერში ის შემოქმედებითი ჯგუფი იმარჯვებს, ვინც დირექტორს მოსწონს. ამიტომ ტენდერებში მონაწილეობის სურვილი არ მაქვს. მაგალითად, რუსთავში, საახალწლო ღონისძიებების ტენდერში ერთ-ერთმა პიროვნებამ გაიმარჯვა, რომელსაც 25 000 ლარი გამოუყვეს. ამ პიროვნებამ მსახიობები, მათ შორის ჩვენც დაგვიქირავა, თუმცა მანამდე, რუსთავის მერს, ბატონ დავით ჯიქიასაც შევხვდით და ვთხოვეთ, სხვადასხვა კონცერტში ჩავესვით, რაზეც დაგვთანხმდა. როგორც გითხარით, ტენდერში გამარჯვებული პიროვნება დაგვიკავშირდა და გადაწყდა, გარდაბნის რაიონში კონცერტი ჩაგვეტარებინა. ბატონ დავით ჯიქიასთან შეხვედრისას შევთანხმდით, რომ 2 000 ლარს გადმოგვირიცხავდნენ, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულმა პიროვნებამ, რომელმაც გასართობი ცენტრი „სატირონი“ დაიქირავა, მხოლოდ 700 ლარი ჩაგვირიცხა. მიზეზად კი ის დამისახელა, რომ თურმე, ჩემს ტანმოვარჯიშეებს, სპეციალური ტანსაცმლის ნაცვლად, სპორტული ტანსაცმელი ეცვათ“.**

ოლეგ თავაძე ამბობს, რომ „სატირონს“ „თელავობაშიც“ სურდა მონაწილეობა და თელავის გამგებელსაც მიმართა, თუმცა იმის გამო, რომ „თელავობა“ სხვა ფორმატის ღონისძიებაა, სადაც ძირითადად, ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობენ, „სატირონის“ პროგრამა კი საცირკო სანახაობაა, უარი უთხრეს. ოლეგ თავაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისის ბაგა-ბაღებში, საახალწლო ღონისძიებებზე უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ, როდესაც ახალი წელი მოახლოვდა, „სატირონის“ დირექტორი უარით გაისტუმრეს და აუხსნეს, რომ საახალწლო ღონისძიებებს საკუთარი ძალებით გამართავდნენ:

**„თბილისის ბაგა-ბაღებში, თითო ბავშვზე 6 ლარი იყო გამოყოფილი, ამაში შედიოდა საჩუქარიცა და თოვლის ბაბუის ხარჯიც, თუმცა პირადად ვარ მომსწრე, რომ ერთ-ერთი ბაღის დარაჯს თოვლის ბაბუას ფორმა ჩააცვეს, ამუშავეს და ამაში 15 ლარი გადაუხადეს. თუ საჭირო გახდება, ამ ბაღსაც დავასახელებ და იმ დარაჯის ვინაობასაც გავამხელ, რომელსაც თოვლის ბაბუის ფორმა ჩააცვეს“.**

ცირკის მოღვაწეთა კავშირი კულტურის სამინისტროსგან იმ კანონის შეიცვლას ითხოვს, რომლითაც სკოლებში კონცერტების გამართვა იკრძალება. ოლეგ თავაძე „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ცირკის მოღვაწეთა კავშირის წევრები სკოლებში, მშობელთა კომიტეტებში მისვლის უფლებას ითხოვენ, რათა მშობლებს აუხსნიან, თუკი ადგილზე, სკოლის სააქტო დარბაზში საცირკო სანახაობა გაიმართება, მზად ხართ, ბილეთში 2-3 ლარი გადაიხადოთ თუ არაო? ოლეგ თავაძის თქმით, ცირკის მოღვაწეთა კავშირს იმის საშუალებაც აქვს, რომ თუ სკოლაში, პირობითად, 100 ბავშვია, 20-30 ბავშვი, რომელსაც ბილეთში 2-3 ლარის გადახდის საშუალება არ აქვს, ღონისძიებას უფასოდ დაასწრონ.

რუსთავის მერის პრესსამსახურის უფროსმა, **თამარ აქუბარდიამ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ რუსთავში ჩასატარებელ ღონისძიებებზე ტენდერს რუსთავის მერია აცხადებს და შესაბამისად, თანხასაც რიცხავს: **„რაც შეეხება გარდაბნის რაიონს, ტენდერს გარდაბნის რაიონის გამგეობა აცხადებს. ოლეგ თავაძეს რაღაც ეშლება, რადგან გარდაბანში ჩასატარებელ ღონისძიებაზე ტენდერს რუსთავის მერია არ გამოაცხადებდა და, რა თქმა უნდა, ვერც ბატონი დავით ჯიქია დაპირდებოდა, რომ 2 000 ლარს გადაურიცხავდა. გარდაბნის რაიონის ღონისძიებასთან დაკავშირებით, ამ რაიონის გამგეობას უნდა მიმართოთ“.**

„ვერსია“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის უფროსს, **არმაზ ხარძიანს** დაუკავშირდა: **„ტენდერი „გარდაბნობაზე“ გამოვაცხადეთ და არა — საახალწლო ღონისძიებებზე. ტენდერის პირობებში გვეწერა, რომ სხვადასხვა ღონისძიებასთან ერთად, საცირკო წარმოდგენაც უნდა გამართულიყო. ეს ტენდერი მოიგო პიროვნებამ, ბატონმა სერგომ, რომელიც დაუკავშირდა ოლეგ თავაძეს. კონკრეტულად, რა პირობებზე მოილაპარაკეს ან რაზე შეთანხმდნენ, არ ვიცი და წესით, არც უნდა ვიცოდე. რაც შეეხება საცირკო სანახაობას, ბატონმა ოლეგმა სამი მსახიობი ანუ აკრობატი ჩამოიყვანა და მათ, დაახლოებით, 15-წუთიანი სანახაობა გამართეს. სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილმა აკრობატებმა რამდენიმე სალტო გვაჩვენეს და წარმოდგენა ამით დასრულდა. სიმართლე გითხრათ, ჩვენც უკმაყოფილო დავრჩით, მაგრამ ოლეგ თავაძისთვის საყვედური არ გვითქვამს. როგორც გითხარით, ტენდერი ბატონმა სერგომ მოიგო და ოლეგ თავაძეს კუთვნილი ანაზღაურებაც მან გადაუხადა. ამ შემთხვევაში, გარდაბნის რაიონის მუნიციპალიტეტი არაფერ შუაშია“.**

### ვერსიანიუსი

## მთავრობა საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობას ყიდის



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის რეალიზაციის საკითხზე მუშაობს. შენობა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ჯერ არ შესულა, მაგრამ მისი გასხვისება პრივატიზაციის გააქტიურებისა და ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის პროგრამის ფარგლებში განიხილება.

შენობის გაყიდვის შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრო ათონელის რეზიდენციაში გადავა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საპრივატიზაციო ნუსხის საშუალოვადიან გეგმაში, კომპანია „საქართველოს ფოსტაც“ მოხვდა. მინისტრის თქმით, გასხვისდება თელასის 25%-იც. მოკლევადიან პერსპექტივაში, პრივატიზაცია უნდა დაჩქარდეს, თუმცა ეს არ იქნება მონეტარულ ეფექტზე ორიენტირებული, რადგან ობიექტები საინვესტიციო ვალდებულებით გაჯერდება, რასაც მთავრობა მონიტორინგს გაუწევს.

2 135 კვ.მ ფართობი და მასზე განთავსებული ათონელის რეზიდენცია, მთავრობამ აუქციონზე 25 თებერვალს გაიტანა. რამდენიმე დღის წინ, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას რამდენიმე ობიექტი დაემატა. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, თავდაპირველად, გაცხადებულ 17 ობიექტთან ერთად, მთავრობა დამატებით 5 ობიექტს ყიდის. ესაა წყალტუბოს რაიონში განთავსებული შენობა-ნაგებობები, ყოფილი სანატორიუმები, მათ შორის, სტალინის ყოფილი სანატორიუმი, სანატორიუმი „ივერია“, სანატორიუმი „მეშახტე“, სანატორიუმი „წყალტუბო“, სანატორიუმი „ცისკარი“.

საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, „ბათუმი თაუერი“, უკვე გაიყიდა. აუქციონი ამ ობიექტზე რამდენიმე დღის დასრულდა. მისი მფლობელია სამშენებლო კომპანია „რედკო“, რომელიც იურიდიულად, 2014 წლის ბოლოს დაფუძნებული შპს „ბათუმი თაუერია“. „ბათუმი თაუერი“ 25 462 600 აშშ დოლარად გაიყიდა.

*რადიო „კომერსანტი“*

## მაღაზიები ცენტრალური ქუჩებიდან „გარბიან“

უძრავი ქონების სააგენტოების წარმომადგენელთა განცხადებით, ლარის დევალვაციისა და გაყიდვების შემცირების გამო, მაღაზიების ნაწილმა სტრატეგია შეცვალა და ცენტრალური ქუჩებიდან პერიფერიებში გადაინაცვლა.

უძრავი ქონების სააგენტო „ბერუკას“ ხელმძღვანელი, „კომერსანტთან“ საუბრისას ამბობს, რომ მაღაზიები პროდუქციის რეალიზაციას ველარ ახდენენ, შემოსავალი აღარ აქვთ და ამიტომ ადგილმდებარეობას იცვლიან. ავთანდილ გუგეშაშვილს მაგალითად „ბიგ ბენი“ მოჰყავს, რომელიც, მისი თქმით, დაახლოებით, 15 წელი ჭავჭავაძის გამზირზე მდებარეობდა. თუმცა „ბიგ ბენის“ მფლობელმა აბაშიძეზე გადასვლა გადაწყვიტა, რადგან იჯარის გადასახადი იქ უფრო დაბალია. ავთანდილ გუგეშაშვილის თქმითვე, სწორედ რეალიზაციის შემცირების გამო, „მანგომ“ ქართულ ბაზარზე ორივე მაღაზია დახურა.



*რადიო „კომერსანტი“*



1. მიზნის მისაღწევად გამოყენებული ხერხები
2. მუსლიმანთა ღმერთი
3. იაპონიის დედაქალაქი
4. ჯანჯაფილის ქართული სახელწოდება
5. შვიდი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
6. გადამდები სენის ფართოდ გავრცელება
7. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე
8. ძველრომაელთა მოსასხამი
9. გულის ერთ-ერთი განყოფილება
10. სპორტ. ორთაბრძოლა რაპირებით
11. პატარა თევზსაჭერი გემი
12. სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმა
13. საუბარი ორ პირს შორის
14. პირველი ნობელიანტი მწერალი ქალი
15. უდიდესი სიზუსტე მათემატიკაში
16. იტალიური ნუშის ლიქიორი
17. ბულგარეთის დედაქალაქი
18. მთა თბილისში
19. კვანძოვანი დაწვნის ტექნიკა
20. გზის საფარი ფისისებური მასა
21. ყბედობის გამო დასჯილი ნიმფა
22. მწერალი ... გელაშვილი
23. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება
24. მდინარე იტალიაში
25. ერთ ხაზზე განლაგებული საგნების, ადამიანების წყება, მწკრივი
26. ამერიკული ავტომარკა
27. ერთაოზის მამა „შერეკილებში“
28. ნიანგის ერთ-ერთი სახეობა
29. სტუდენტთა ჯგუფური მეცადინეობა
30. იგივეა, რაც ჯიქანი
31. ქართული ანბანის I ასო
32. ქალაქ ტრიპოლის ძვ. სახელწოდება
33. საოპერო პარტია
34. ჯემალ ბაღაშვილის შოუ
35. ფრანგი მწერალი
36. ლეო დელიბის ოპერა
37. კოლო ანოფელესით გამოწვეული დაავადება
38. ცხვრის მატყლის ცხიმი
39. მზის საგალობელი რაჭაში
40. კაპიტანზე მაღალი წოდებულების მქონე ოფიცერი
41. ამაზონის დელფინი
42. ცეცხლის მნათი ნაწილი
43. კუნთის შაქარი
44. ბედუინების ტრადიც. მოსასხამი
45. ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
46. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი
47. მორებისგან შეკრ. სამდინარო ტრანსპორტი
48. მჭევრმეტყველი
49. გასეირნება ბავშვის ენაზე
50. გიორგი დანელიას ფილმი
51. რუანდის დედაქალაქი
52. მსუბუქად შეიარაღებული კავალერისტი
53. მწერალი ედგარ ... პო
54. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
55. მონღ. ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული
56. მცენარეთა სამყარო
57. ესპერანტოს ვარიანტი
58. „მობი დიკის“ ავტორი




## ალკოჰოლის ფხვნილს გაყიდიან

მომავალი ზაფხულიდან აშშ-ში ფხვნილის სახით წარმოებული ალკოჰოლის გაყიდვა დაიწყება, რომელსაც Palcohol უწოდეს. არიზონაში მდებარე კომპანია Lipsmark პირობას დებს, რომ ამ პროდუქტის ხაზით გამოვა არაყი, რომი და სამი სახეობის პოპულარული კოქტეილი. კომპანიაში აღნიშნავენ, რომ მხოლოდ პრემიუმკლასის რომსა და არაყს გამოიყენებენ. მწარმოებლები მომხმარებელს ურჩევენ, ასეთი ალკოჰოლური ფხვნილის ერთ პაკეტს 170 გრამი წყალი დაამატონ. მიუხედავად იმისა, რომ „ფხვნილისასმელების“ შემადგენლობა უკვე მოიწონა ამერიკის შესაბამისმა ორგანიზაციამ, ბევრ შტატში უკვე მიიღეს პრევენციული დოკუმენტები, რითაც მათ გაყიდვას აკრძალავენ, რადგან შიშობენ, რომ პროდუქტი პოპულარული უპირველესად მოზარდებსა და ახალგაზრდებში გახდება.

## მესიჯები ყავის ქაფზე

ამერიკულმა კომპანიამ Zipwhip უჩვეულო ყავის მანქანა შექმნა, რომელსაც Textspresso უწოდეს და მისი დახმარებით არა მარტო არომატული ესპრესოს მომზადება შეიძლება, არამედ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა, მიღება და დაბეჭდვაც კი. Textspresso-ს წყალობით, თქვენი სამუშაო დღე შეიძლება დაიწყოს სასიამოვნო შეტყობინებით მეორე ნახევრისგან... აგრეგატი ყავის მოსამზადებელი მანქანის, ტექსტის გადაცემის ბლოკისა და Canon-ის პრინტერისგა შედგება, რომელსაც საკვებად ვარგისი მელანი აქვს. სამწუხაროდ, ამ უჩვეულო მანქანის ყიდვას ვერსად შეძლებთ, რადგან ფირმამ ის მხოლოდ Zipwhip-ის უნიკალური შესაძლებლობების დემონსტრირებისთვის შექმნა და მისით სარგებლობა მხოლოდ კომპანიის თანამშრომლებისთვისაა ხელმისაწვდომი.



## უსახლკაროებს უფასოდ ემსახურება

ირალანდიელმა დალაქმა უორენ ფლინმა ადგილობრივი უსახლკაროებისთვის თმის შეჭრა, რაშიც ანაზღაურებას არ ითხოვს. ფლინი აცხადებს, რომ სურს, დაეხმაროს გაჭირვებულ ადამიანებს. როცა ეს ისტორია ადგილობრივ პრესაში გაჟღერდა, დალაქი „ირლანდიის სიამაყის“ პრემიაზე წარადგინეს. 22 წლის ფლინმა პირველად „ბომჟი“ გასული წლის ბოლოს გაკრიჭა — მაშინ ხელი ჰქონდა მოტეხილი და არ მუშაობდა, თუმცა საჭირო ინსტრუმენტებს მაინც დაატარებდა და მეტროს ერთ-ერთ სადგურთან მჯდომ ახალგაზრდას საკუთარი მომსახურება შესთავაზა. მას შემდეგ ფლინი ყოველ კვირას, ანუ დასვენების დღეს დუბლინის ქუჩებში გადის და უსახლკაროებს „ალამაზებს“. მისი მომსახურებით უკვე რამდენიმე ათეულმა „ბომჟმა“ ისარგებლა.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5 | | | |
| | | | 2 | 4 | | | | 3 |
| 8 | 6 | 5 | | 1 | | | 4 | |
| 6 | | | | 8 | 3 | | | 5 |
| | 5 | | | | | | 1 | |
| 7 | | | 9 | 5 | | | | 6 |
| | 9 | | | 7 | | 3 | 6 | 8 |
| 3 | | | | 6 | 1 | | | |
| | | | 5 | | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | | | 9 | |
| | 1 | 8 | | | 7 | | 6 | |
| 4 | | | | | | 2 | | |
| 9 | | | 7 | | | 5 | | |
| | 4 | 5 | | | | 7 | 3 | |
| | | 1 | | | 4 | | | 2 |
| | | 4 | | | | | | 5 |
| | 9 | | 1 | | | 8 | 2 | |
| | 6 | | | 2 | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | | | 8 |
| 9 | 6 | | 2 | | | | | |
| | 5 | | | | 9 | 4 | | |
| | 9 | | 6 | 3 | | | | 1 |
| | 4 | | | 2 | | | 7 | |
| 3 | | | | 7 | 4 | | 6 | |
| | | 6 | 4 | | | | 8 | |
| | | | | | 1 | | 3 | 9 |
| 1 | | | | | | 6 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | | | | | | |
| | | 7 | | 4 | 2 | | | |
| | | | 1 | 7 | 9 | 5 | | 8 |
| 8 | | 9 | | | 6 | | | |
| 3 | | | | 2 | | | | 1 |
| | | | 9 | | | 8 | | 6 |
| 7 | | 4 | 6 | 1 | 5 | | | |
| | | | 4 | 8 | | 6 | | |
| | | | | | | | | 4 |

# გაუხეხავი კბილები იმპოტენციას იწვევს



კბილებსა და პოტენციას შორის კავშირი თურქმა სწავლულებმა აღმოაჩინეს ინიონიოს ინსტიტუტიდან. მათი დასკვნით, მამაკაცებს, ვინც რეგულარულად არ იხეხავს კბილებს, ხშირად აქვთ ერექციასთან დაკავშირებული პრობლემები. ამის მიზეზი ბაქტერიაა, რომელიც ქრონიკული პაროდონტოზისას ღრძილების ანთებას პროვოცირებს. აქედან გამომდინარე, ვინც კბილებს რეგულარულად არ ისუფთავებს, არა მხოლოდ ჯანმრთელი კბილების, არამედ ხარისხიანი სექსის დაკარგვის რისკჯგუფშიც არიან. უნდა აღინიშნოს, რომ ერექციის პრობლემებსა და ქრონიკულ პაროდონტოზს ერთნაირი ფაქტორები იწვევს, როგორიცაა ასაკი, მოწევა, დიაბეტი და გულის პრობლემები, — აღნიშნავენ სპეციალისტები.



# სადილს მორევა აღარ დასჭირდება

იაპონელმა დანტისტმა ვატანაბემ, რომელსაც დროის დეფიციტის გამო სამზარეულოში ლამის ყველა კერძი ეწვებოდა, მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვა და უნიკალური ქვაბი დაამზადა, რომელიც კულინარს საქმესაც გაუადვილებს და დროსაც დაუზოგავს. Kuru-Kuru Nabe ანუ „მრგვალი-მრგვალი ქოთანი“ დაღარულფსკერიანი და ასეთივე კედლებიანი ქვაბია. მათი საშუალებით, კონკრეტულ ტემპერატურაზე, ქვაბში მოთავსებულ სითხეში პატარა მორევი ჩნდება. ამის შედეგად კერძი ბრუნვას იწყებს და მას დამატებითი მორევა აღარ სჭირდება. Kuru-Kuru Nabe თერმოდინამიკის ძირითადი პრინციპით მუშაობს, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო დიდია ტემპერატურა, მით სწრაფად ბრუნავს ქვაბში მოთავსებული მასა. სტომატოლოგი ვატანაბე საკუთარი პროდუქციის მასობრივ წარმოებას გეგმავს.

# ბებიამ შვილიშვილი გააჩინა

დიდ ბრიტანეთში 46 ლის ქალბატონმა ანა-მარია კასონმა ჰომოსექსუალ შვილს, კაილს ბავშვი გაუჩინა. ადგილობრივი მედია იუწყება, რომ განაყოფიერებისას გამოყენებული იყო კაილის სპერმა და დონორული კვერცხუჯრედი, ბებია კი მხოლოდ სურგატი დედის როლში მოგვევლინა. ბიჭი დაახლოებით რვა თვის წინ გაჩნდა, სასამართლომ კი მხოლოდ ახლა მიანიჭა მამაკაცს უფლება, ბავშვი კანონიერი მამა გამხდარიყო. ახალშობილთან ბიოლოგიურად კავშირი არ მაქვს, ის მხოლოდ ჩემი შვილიშვილია, — აცხადებს ქალბატონი კასონი და დასძენს, რომ აქამდე კიდევ ერთი ახლობელი ცდილობდა, კაილის შვილისთვის სუროგატი დედა გამხდარიყო.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 9 | 6 | 5 | 7 | 4 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 2 | 8 | 4 | 3 | 5 | 1 | 9 |
| 2 | 9 | 8 | 3 | 7 | 1 | 6 | 5 | 4 |
| 6 | 7 | 5 | 4 | 2 | 8 | 9 | 3 | 1 |
| 3 | 4 | 1 | 5 | 9 | 6 | 7 | 8 | 2 |
| 5 | 8 | 4 | 1 | 6 | 2 | 3 | 9 | 7 |
| 1 | 3 | 7 | 9 | 8 | 4 | 2 | 6 | 5 |
| 9 | 2 | 6 | 7 | 3 | 5 | 1 | 4 | 8 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 8 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 1 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 3 | 7 | 6 | 5 | 8 | 4 |
| 8 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 2 |
| 4 | 2 | 5 | 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 7 |
| 9 | 3 | 1 | 7 | 6 | 2 | 4 | 5 | 8 |
| 1 | 9 | 2 | 6 | 3 | 7 | 8 | 4 | 5 |
| 7 | 8 | 4 | 9 | 1 | 5 | 2 | 6 | 3 |
| 3 | 5 | 6 | 2 | 8 | 4 | 9 | 7 | 1 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 6 | 3 | 2 | 7 | 1 | 9 | 8 |
| 9 | 1 | 3 | 8 | 6 | 5 | 4 | 7 | 2 |
| 7 | 2 | 8 | 4 | 1 | 9 | 3 | 6 | 5 |
| 4 | 9 | 2 | 7 | 5 | 6 | 8 | 1 | 3 |
| 3 | 7 | 1 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 8 | 6 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 7 |
| 6 | 3 | 9 | 5 | 7 | 4 | 2 | 8 | 1 |
| 2 | 8 | 7 | 9 | 3 | 1 | 5 | 4 | 6 |
| 1 | 5 | 4 | 6 | 8 | 2 | 7 | 3 | 9 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 1 | 3 | 5 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 5 | 3 | 7 | 1 | 8 | 9 | 4 | 6 | 2 |
| 8 | 2 | 9 | 4 | 6 | 7 | 5 | 1 | 3 |
| 3 | 1 | 5 | 8 | 7 | 6 | 2 | 4 | 9 |
| 2 | 7 | 8 | 9 | 4 | 3 | 1 | 5 | 6 |
| 9 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 | 3 | 7 | 8 |
| 1 | 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 5 | 3 | 6 | 9 | 4 | 8 | 2 | 1 |
| 6 | 8 | 2 | 5 | 3 | 1 | 7 | 9 | 4 |

მე-10 გვერდი: 1. კამბუზი; 2. აგონია; 3. ბატატი; 4. ზორგე; 5. ვერცხლი; 6. ელადა; 7. ციცხვი; 8. ლორენი; 9. პოსტერი; 10. ლვოვი; 11. ნაგასაკი; 12. ბურახი; 13. კარცერი; 14. იაუნდე; 15. ამორალიზმი; 16. იქთიოლოგია; 17. ავია; 18. „ბენტლი“; 19. კანტი; 20. ტაივანი; 21. ალებარდა; 22. გირაო; 23. ბულვარი; 24. ნარდი; 25. ქიმია; 26. ბარბეკიუ; 27. ბეილი; 28. გალონი; 29. ინანთი; 30. ლევიათანი; 31. „სახე“; 32. ლივ; 33. იტი; 34. დინგი; 35. ლილიენტალი; 36. ალასკა; 37. იაკი; 38. ენა; 39. ალო; 40. ასა; 41. მანტილია; 42. ლი; 43. გაზი; 44. „ვიი“; 45. ინა; 46. რელსი; 47. ნმათე; 48. ონი; 49. ენ; 50. აისი; 51. მირკანი; 52. ილი; 53. ანიონი; 54. დილა; 55. ელვა; 56. ახო; 57. „გრემიო“; 58. მი; 59. იორი.

მე-12 გვერდი: 1. ჯეფერსონი; 2. ბანკეტი; 3. ჯოკერი; 4. „ფორბსი“; 5. რუპორი; 6. აქსელერაცია; 7. კაფეშანტანი; 8. ტერორი; 9. ილიამნა; 10. ტრიბუნა; 11. პარიკი; 12. საფარი; 13. ანოა; 14. იპრი; 15. რასტრი; 16. ლაშარი; 17. ლირი; 18. ატა; 19. ისრიმი; 20. პინა; 21. „რენო“; 22. არბატი; 23. „ასა“; 24. პანაცეა; 25. ტახი; 26. ხარო; 27. რიგა; 28. პატრიცია არკეტი; 29. ნერეიდა; 30. ნონა; 31. მიომა; 32. სკიბობი; 33. ფრანტი; 34. ოტია; 35. ინიციატივა; 36. ტარზანი; 37. ნოტარიუსი; 38. ორისაბა; 39. ალადასტური; 40. ამალთეა; 41. მიელიტი; 42. რეიმსი; 43. მანგლისი; 44. პონი; 45. ცია; 46. დორბლი; 47. მაკარონი; 48. პესო; 49. ამიმია; 50. პირატი; 51. ბრონტე; 52. მაიკ; 53. კოლიმა; 54. მამაი; 55. სარა; 56. ლაბა; 57. ოდესა; 58. სიმი; 59. „საბა“; 60. ნეი; 61. ვალე; 62. ლალა; 63. სირ; 64. იბისი; 65. ელბა; 66. ლიმა; 67. კორო; 68. ორბი; 69. აული; 70. ლუი; 71. ჯილა; 72. ლიტვა; 73. ნაი; 74. ოლიმპი; 75. სსრკ; 76. გეა; 77. ატაკამა; 78. ბე; 79. დია; 80. სავლე; 81. ალტი; 82. გენა; 83. იდიია; 84. ალური.

# ხასიათს შოკოლადითაც ამოიცნობთ

თურმე შესაძლებელი ყოფილა, საყვარელი შოკოლადის მიხედვით ადამიანის ხასიათის შესახებ ზოგიერთი რამ გავიგოთ. მაგალითად, თეთრი შოკოლადის მოყვარული პიროვნება ძალიან რომანტიკული, მეოცნებე, ოჯახური იდილიის მოყვარულია. ამ „ღმერთების საჭმელის“ მოყვარული მშვენიერი სქესის წარმომადგენელი იდეალურ საცოლედ, მამაკაცი კი იდეალურ საქმროდ ითვლება. ის, ვინც უპირატესობას შავ შოკოლადს ანიჭებს, თავგადასავლების მოყვარულია. ასეთი ადამიანის ქმედებების წინასწარ განჭვრეტა საკმაოდ ძნელია. მათ გარეშე კი ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა. რძიანი პირის ჩასატკბარუნებლის მოყვარულები ძლიერი პიროვნებები არიან, მათი ბევრს შურს. ამ ადამიანების გაცნობისას პირველი შთაბეჭდილება — თითქოს მკაცრები და საშიშნი არიან, მცდარია. ურთიერთობისას აღმოაჩენთ, რომ მათი მომხიბვლელობისა და შარმის ტყვე ხართ.



1. გარეული ცხვარი
2. აღორძინების ხანა
3. პოსეიდონის მეუღლე
4. ჩრდ. ამერიკაში მობინადრე წყალჩლიქოსანი
5. ტყის ყაყაჩო
6. ოქროქსოვილი ხავერდი
7. არყის სახელწოდება გერმანიაში
8. „ტოიოტას“ ერთ-ერთი მოდელი
9. ფრანგი ფერმწერი
10. „როკ-ენ-როლის მეფე“
11. საფეხურებად აგებული საკულ. კოშკი ბაბილონში
12. აღტაცების გამომხატველი შეძახილი იაპონიაში
13. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
14. ყელზე ჩამოსაკიდი სამკაულის ნირსახეობა
15. სუსტი ქარი, ნიავი
16. სამხედრო გემების დიდი შენაერთი
17. გერდას მეგობარი ბიჭუნა
18. რაიმე საგნის მონახაზი, კონტური
19. ერთ-ერთი კუნძული მდ. სენაში
20. ქალაქი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთში
21. საფრანგეთის უგრძესი მდინარე
22. ღვთაებრივი მხსნელი
23. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
24. შეჯიბრება ავტომობილებით რბოლაში
25. შინაური ფრინველი
26. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
27. ძვირფასი ლითონების მოსევადების ტექნ. სახეობა
28. აიეტის ასული და იაზონის მეუღლე
29. ტრადიციული „საახალწლო ფრინველი“
30. იხ. სურათი: წელიწადის დრო
31. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
32. ზღვრული ნორმა
33. თბილისის ერთ-ერთი უბანი
34. იგივეა, რაც გაზი
35. ქართული მითოლოგიის ერთ-ერთი ღვთაება
36. ბჰუტანის დედაქალაქი
37. გერმანული ავტომარკა
38. ნახევრად დამშრალი ზღვა შუა აზიაში
39. ძველი ბაღი თბილისში
40. პატარა ტყე მინდორში
41. მდინარე უკრაინის დედაქალაქში
42. ჰიტლერის ტიტული
43. ზოგიერთი ფრინველის ქოჩორი
44. საქონლის ღირებულება
45. თავადაზნაურული ტიტული ინგლისში
46. მართლმადიდებელი მონასტრის წინამძღვარი
47. ესპანური ფეხბურთის გრანდი
48. ერთნახადი, სუსტი არაყი
49. მდინარე საქართველოსა და ჩეჩნეთში
50. იტალიელი მომღერალი ... რამაზოტი
51. ქართველთა მამული საფრანგეთში
52. „კუკარაჩას“ პერსონაჟი
53. ზედმეტი თვითრწმენა
54. ფიგურული სახაზავი
55. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
56. ნიგერიის ფულის ერთეული
57. იგივეა, რაც სიფილისი
58. იმპოტენციის საწინააღმდეგო წამალი
59. ჯარების მართვის ორგანო
60. სემის და იაფეტის ძმა
61. დიდი ტანის და ძლიერი სასამსახურო ძაღლის ჯიში
62. ყურით აღქმული ბგერა
63. პიპინია ერისთავის ძაღლის სახელი
64. მამალი კვიცი
65. სხვადასხვა მხარეს მზირალი თვალები
66. იგივე ბატიბუტი
67. კორეული ავტომარკა
68. გრძელტანიანი და მოკლეფეხება ძაღლი
69. ძველი სკანდინავიური ეპიკური ლიტერ. ძეგლი
70. თხელი საფლობი ტალახი
71. ნ. ნოსოვის ზღაპრების პერსონაჟი
72. სამკურნალო ნივთიერების ნაყენი წყალზე, სპირტზე ან ეთერზე
73. მიწაში ამოთხრილი ადგილი
74. ებრაელთა სადღესასწაულო ხმიადი
75. კრემიანი ნამცხვარი
76. ლექსი მწყემსების ცხოვრების თემაზე
77. ქართველ ქალთა ცეკვა
78. არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქ. ...-დაბი
79. ჩანთა ნანადირევისათვის
80. აპრილის ძველქართული სახელწოდება

# ქალები მოძალადე ქმრების წინააღმდეგ



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში, ადგილობრივ ქალებს ჯგუფი Gulabi Gang აქვთ შექმნილი, რომელიც მანდილოსნების უფლებებს იცავს და იმ კაცებს არ სწყალობს, ვინც ოჯახში ცოლს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს. ბამბუკის ჯოხებით შეიარაღებული ასობით ქალი მიდის ასეთ ოჯახში და მოძალადე ქმარს ფიზიკურად უსწორდება. ამ ჯგუფში 10 ათასამდე ქალია გაწევრიანებული და ყველა მათგანი ვარდისფერ სარის ატარებს. ეს გაერთიანება ჯერ კიდევ 2006 წელს 5 შვილის დედამ, სამპატმა ჩამოაყალიბა. ის ძალიან პატარა გაათხოვეს, თუმცა, ყოველთვის აღიზიანებდა ინდურ ოჯახებში ქალების მდგომარეობა, სადაც მოსამსახურის ფუნქციას ასრულებდა და ქმარი სრულიად უმიზეზოდ სცემდა. ვარდისფერი სარით მოსეირნე მანდილოსნებს მამაკაცები უკვე უფრთხიან. ამ ჯგუფის წევრთა ძალისხმევით, ოჯახებმა პატარა გოგონების გათხოვებაც შეწყვიტეს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.